ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## შარტავას №35-ში ნაპოვნი მამაკაცი ცოცხალი აღმოჩნდა



გვ.7

22 სექტემბრიდან



ალექსანდრე ისალაშვილი

შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სამშაბათი, 26 სექტემბერი, 2017 №228 (7462) ფასი: 50 თეთრი

# დავით დარჩიაშვილი: „ქართულ ოცნებას“ 30% აქვს რეიტინგი, მაგრამ პარლამენტში 80% მისია“



გვ.2

„ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციის ამ პროექტის გატანა უნდა ისე, რომ არავითარი ცვლილებები მასში არ შევიდეს, რადგან სწორედ ასეთი კონსტიტუცია აწყობს მას. ასეთი დამოკიდებულება კი ქვეყანას დადებითად განვითარების პერსპექტივას უსპობს და იმ რისკის წინაშე აყენებს, რასაც ნამდვილად არ ვისურვებდი. ეს სულ უფრო და უფრო გააღრმავებს პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში“

## გია ხუხაშვილი: „სხვა რა უნდა ექნა მარგველაშვილს, შიმშილობას ხომ არ დაიწყებდა?!“



გვ.4

პრეზიდენტის უარის მიუხედავად, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მაინც გაიმართება



## დემურ გიორხელიძე: „ლარის თამაშით ვიწრო ჯგუფები დიდ მოგებას ნახულობენ“



გვ.6

## ვინ აღიარებს ცხინვალში დაფუძნებულ ალანიის ეპარქიას



გვ.4

## პეტრე მამრაძე: „საკონსტიტუციო ჭიდილში ოპოზიციამ თავი შეირცხვინა“



გვ.3

## რატომ დატოვეს სამხედრო მოსამსახურეები შემწეობის გარეშე?!



გვ.5

## თემურ ჭყონია მსხვილ ბიზნესს უცხოურ ფინანსურ ბაზრებზე გასვლას ურჩევს



გვ.3



გვ.6

2018 წლის 1-ელ იანვრამდე მილიონზე მეტი ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირება ვერ განხორციელდება“

სად უფრო იაფია ცხოვრება – სომხეთში თუ საქართველოში?



გვ.2

ISSN 1987-9385

# დავით დარჩიაშვილი: „ქართულ ოცნებას“ 30% აქვს რეიტინგი, მაგრამ პარლამენტში 80% მისია“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმედს გამოთქვამს, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი საკონსტიტუციო ცვლილების კანონპროექტს ვეტოს დაადებს.

***— ბატონო დავით, პრეზიდენტმა უარი თქვა რიგგარეშე პარლამენტის სხდომის დანიშვნაზე, სადაც მესამე მოსმენით უნდა მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— სავსებით გასაგებია პრეზიდენტის პოზიცია, რადგან ეს არის კონსტიტუციის ირგვლივ არსებული ფუნდამენტური აზრთა სხვადასხვაობის გამოძახილი. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ ერთ პარტიას ჰგონია, რომ ყველაფრის თავი და ბოლო თვითონ არის და ქვეყნის კონსტიტუციაც ისეთი უნდა იყოს, როგორიც მას სურს. სწორედ ეს არის დემოკრატიის პრინციპების ფუნდამენტური დარღვევა და ნორმალური სახელმწიფოს შენებიდან გადახვევა.

„ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციის ამ პროექტის გატანა უნდა ისე, რომ არავითარი ცვლილებები მასში არ შევიდეს, რადგან სწორედ ასეთი კონსტიტუცია აწყობს მას. ასეთი დამოკიდებულება კი ქვეყანას დადებითად განვითარების პერსპექტივას უსპობს და იმ რისკის წინაშე აყენებს, რასაც ნამდვილად არ ვისურვებდი. ეს სულ უფრო და უფრო გააღრმავებს პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში.

***— უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მდინარაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტისა და ოპოზიციის მიდგომები საკონსტიტუციო რეფორმისთვის ჩრდილის მიყენებაში ერთმანეთს ემთხვევა.***

— არსებობს სალი აზრი, რაც დემოკრატიის გამოცდილებაზე დგას და არსებობს მდინარაძის აზრი. პრეზიდენტი თუ სალი აზრისკენ გადაიხარა, ეს მდინარაძეს რად მოეჩვენება, ეს ხომ არ არის რეალობის განმსაზღვრელი?!



***— ისე, რამდენად სამართლიანია ის შენიშვნა, რომელიც ბესელიას ჰქონდა, რომ ორი დღის მუშაობის ალტერნატივა ვერ იქნება რვა თვის მუშაობისა და საერთო-სახალხო განხილვების ალტერნატივა?***

— ბესელიას ახსნა-განმარტებები, სამწუხაროდ, შორს არ მიდის მდინარაძის ახსნა-განმარტებებისგან. რვა თვის შედარებას ორი დღისთვის და ამ დემაგოგიურ ხრიკს ჯობია, ეძებოს, ვის რა არგუმენტები აქვს და რამდენად წონადია ეს არგუმენტები. ამ ყველაფრის უკან წლების ნამუშევარი დგას, რაზეც თავის დროზე ოპოზიციას უმუშავია, რვა თვეში კი ყმაწვილკაცმა ირაკლი კობახიძემ მოინდომა თავისი სადიპლომო ნაშრომის კონსტიტუციად ქცევა.

მთელი პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ განწყობაზე და ერთ პოზიციაზე არიან, მაგრამ ამ პოზიციას არ და ვერ ხედავს უმრავლესობა. არც კი იმჩნევს ამ ერთსულოვნებას.

***— მართლაც ასეთი მიუღებელია ეს ცვლილებები თუ არის გარკვეული მუხლები, რომლებზეც შეიძლება თქვათ, რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი?***

— წინგადადგმული ნაბიჯი ისეთი მუხლებია, რომლებიც თავისთავად არც აუარესებენ და არც აკეთილშობილებენ. დიახ, მიიღეს რაღაც მუხლები, რომლებიც უშუალოდ ივანიშვილის ძალაუფლებას არ ეხება. ეს დაახლოებით ასეა, არადემოკრატიულ ქვეყნებში შუქნიშნები რომ მუშაობს. თვითმმართველობაც არის, პარლამენტსაც ირჩევენ, მაგრამ შემდეგ უკვე ჩავდივართ დეტალებში, რა არის თვითმმართველობა, როგორ პარლამენტს ვირჩევთ და თავს იჩენს ის უამრავი ხარვეზი, მათ შორის ის ხარვეზები, რომლებზეც ამჯერად პრეზიდენტს არ უსაუბრია. პრეზიდენტმა თქვა, რომ ის მთელი პოლიტიკური სპექტრის კონსენსუსს ეძებდა, ამ პოლიტიკურ სპექტრში ირმა ინაშვილიც არის და „ევროპული საქართველოც“, მათ შორის კონსენსუსი ძალიან იშვიათად შეიძლება მოხდეს.

***— მაგალითად?***

— მზე ამოდის და მზე ჩადის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი კონსენსუსია მთელ პოლიტიკურ სპექტრში პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ასევე, ყველამ გაიზიარა, რომ ერთი უშიშროების საბჭო უნდა იყოს და არა ორი. თუმცა, არის საკითხები, რაზეც ვერ მოხდა შეთანხმება. მაგალითად, ისეთ საკითხებზე ვერ შევთანხმდით, როგორებიც არის მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი, ქორწინების დეფინიციის საკითხი და ა.შ. შესაბამისად, მე არ ვთვლი, რომ ამ კონსტიტუციის ახალგაზრდა მამებს თავი მოსაწონი აქვთ.

***— ვენეციის კომისიის დასკვნაზე რას იტყვით, რომელშიც პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები დადებითად არის შეფასებული და საპარლამენტო რესპუბლიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად არის მიჩნეული?***

— ვენეციის კომისიას ორი მახასიათებელი აქვს: ერთი, ვენეციის კომისია ძალიან ზრდილობიანი ადამიანებით არის დაკომპლექტებული და მათი ენა დიპლომატიურია, რაც საქართველოში სხვანაირად აღიქმება და გაიგება ხოლმე, თურმე ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მოსწონებიათ, რაც არის დემაგოგია და რაც ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ძალიან გამჯდარია.

მეორე, ვენეციის კომისია არ შედის და ვერც შევა კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის განხილვაში. თუმცა, თავის დროზე ბუკიკიომ განაცხადა, რომ ძალიან ცუდია, პოლიტიკური სპექტრი კონსენსუსს რომ ვერ აღწევსო.

ვენეციის კომისია უფრო ღრმად ვერ შევა ჩვენი ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ კონტექსტსა და რეალობაში. მას აქვს მოქმედების არეალი და მანდატი, რომელსაც ის არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს.

***— ბატონო დავით, თქვენ გაქვთ მოლოდინი, რომ პრეზიდენტი ამჯერადაც გამოიყენებს ვეტოს უფლებას?***

— ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია, გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას, მაგრამ მოლოდინი ნამდვილად მაქვს. თუმცა, ეს უმრავლესობა, თავისი საკონსტიტუციო უმრავლესობით, ცხადია, გადალახავს ამ ვეტოს, მაგრამ ეს საით წაიყვანს ქვეყანას, ამაზე უნდა იდარდოს რიგითმა ამომრჩეველმა.

***— კონსტიტუციონალისტი შარმანაშვილი აცხადებს, რომ ყველა სამართლებრივი ნორმისა და პროცედურის დაცვით მოხდა საკონსტიტუციო ცვლილებები, დანარჩენი კი არის ვნებები.***

— ვნებების უკან რა იმალება, ეს არის მთავარი. პროცედურებს, რასაკვირველია, დაიცავენ, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავთ, რა არის აქ გასაკვირი. მთავარია, ამ პროცედურების მიღმა შინაარსი როგორია. შინაარსი კი არის ისეთი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ მისცემს შესაძლებლობას, რომ რეიტინგი 30% ჰქონდეს, მაგრამ პარლამენტში ადგილების 80% მიიღოს. ეს არის სწორედ პრობლემა.

# სად უფრო იაფია ცხოვრება — სომხეთში თუ საქართველოში?

— პრემიერ-მინისტრი კარენ კარაპეტიანი გვიმტკიცებს, რომ რუსეთი ბუნებრივ გაზს შეღავათიან ფასებში გვაძლევსო და თუ ვინმე უფრო იაფად შემოგვთავაზებს, მზად ვარ, კონტრაქტს ხელი იმავწუთსვე მოვაწეროო. შეიძლება გვაძლევს კიდეც, მაგრამ შეღავათიანი პირობები რომ მოსახლეობაზე არ ვრცელდება? — ამის შესახებ სომხურ გამოცემა „Lragir“-ის მიერ გამოქვეყნებულ სარედაქციო მასალაშია საუბარი, რომლის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:



— სომხეთის მოსახლეობისათვის გაზი უფრო ძვირია, ვიდრე, ვთქვათ, მეზობელ საქართველოში. იგივე შეიძლება ითქვას ელექტროენერგიაზეც, რომლის წყაროები ჩვენთან უფრო დივერსიფიცირებულია, ვიდრე მეზობელთან — ქართველებს ხომ ატომური ელექტროსადგური არ აქვთ.

საქართველოში მოსახლეობას ბუნებრივ გაზს სამი კომპანია აწვდის: „ყაზტრანსგაზი“ — თბილისში, „სოკარი“ და „სოკარგაზი“ — რეგიონებში. თბილისში ერთი კუბმეტრი გაზი 46,1 თეთრი ღირს (დაახლოებით 90 დრამი), რაიონებში კი — 57 თეთრი (110 დრამი).

თბილისის მოსახლეობა 100 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიაში იხდის 0,11 ლარს (21,3 დრამს), რაიონებში — 0,12 ლარს (23,3 დრამს). ის მომხმარებელი, რომელიც 101-301 კილოვატსაათს ხარჯავს, იხდის 0,14 ლარს თბილისში და 0,16 ლარს — რაიონებში. 301 კილოვატსაათზე მეტი მოხმარებისას — შესაბამისად 0,18 და 0,21 ლარს.

ნაგვის გატანის ფასი თბილისში ანგარიშდება ერთ სულ მოსახლეზე 2,5 ლარი თვეში (ანუ დაახლოებით 486 დრამი). წყლის ტარიფი გამოითვლება ან სულადობით, ან კუბმეტრებით. ტარიფები ასეთია — 1 კუბმეტრი წყალი ღირს 0,26 ლარი (50 დარამი), ერთ სულზე გათვლით კი — 3,15 ლარი (610 დრამი).

საქართველოში ოთხსულიანი ოჯახი კომუნალურ მომსახურებაზე ზაფხულობით ხარჯავს დაახლოებით 50-100 ლარს (20 ათას დრამამდე), ზამთარში — 200-300 ლარს (40-60 ათასი დრამი).

სომხეთში ერთი კუბმეტრი გაზი ღირს 139 დრამი, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისთვის 100 დრამი. ელექტროენერგიის ტარიფი: დღისით 45 დრამი 1 კილოვატსაათზე, ღამით — 35. წყლის ტარიფი — ერთი კუბმეტრი ღირს 180 დრამი. ნაგვის გატანის ფასი გადაიხდება ერთ სულზე გაანგარიშებით — ყოველთვიურად 400 დრამამდე. ანუ როგორც ვხედავთ, საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარება 30%-ით უფრო იაფია, ელექტრონერგიისა — 50%-ით, სასმელი წყლისა — 360%-ით.

სომხეთში საშუალო თვიური ხელფასი მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში იყო 190711 დრამი, საქართველოში — 980 ლარი. ანუ დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ჩვენთან.

დავუშვათ, ოთხსულიანმა ოჯახმა დახარჯა 200 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 50 კუბმეტრი გაზი და 20 კუბმეტრი წყალი. სომხეთში ასეთი ოჯახი გადაიხდიდა 20 ათას დრამს, საქართველოში კი — პირობითად 12500 დრამს. რასაკვირველია, ეს განსხვავება უფრო დიდი იქნება ზამთრის თვეებში. მაშ სად უფრო იაფია ცხოვრება?

# გიორგი ანდრიაძე — „უჩა ნანუაშვილი გიულენთანაა დაკავშირებული“

საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე სახალხო დამცველს მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმის ფონზე, ლაზების საქმის იგნორირებაში ადანაშაულებს და ეჭვობს, რომ უჩა ნანუაშვილი თავად არის ფეთჰულაჰ გიულენის ორგანიზაციასთან დაკავშირებული. აღნიშნული განცხადება ანდრიაძემ გაზეთ „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში გააკეთა:



„მე მიკვირს, საზოგადოების ეს ორმაგი დამოკიდებულება. მაგალითად, სახალხო დამცველი ლამის ისტერიკაშია ჩავარდნილი ემრე ჩაბუქის საქმეზე და ხმას არ იღებს საქართველოს პატრიოტი ლაზების საქმეზე. პირდაპირ გეუბნებით , რომ უჩა ნანუაშვილი, მინიმუმ, არის უპასუხისმგებლო, რომელსაც გართულება აქვს პროქართულად განწყობილი ნებისმიერი ადამიანის მიმართ. ჩვენ მივმართეთ წერილობით და ხმაც კი არ ამოუღია. ზრდილობის გამო, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. არაერთხელ მოვითხოვე სატელევიზიო დებატები, მაგრამ არ მოდის პირდაპირ ეთერში, რომ დავუმტკიცო მისი უპასუხისმგებლო ქმედებები. არსებობს ძალიან დიდი ეჭვი, რომ ეს ადამიანი თავად არის დაკავშირებული ფეთჰულაჰ გიულენის ორგანიზაციასთან, ისევე როგორც ის ადამიანები, ვინც თავგამოდებით იცავენ მუსტაფა ემრე ჩაბუქს და არაფერს ამბობენ საქართველოს პატრიოტი ლაზების შესახებ.“— აცხადებს ანდრიაძე.

შეგახსენებთ, პატრიარქის დაცვის ყოფილმა უფროსმა, სოსო ოხანაშვილმა „ციანიდის საქმეზე“ გაკეთებული ჩვენებისას განაცხადა, რომ შორენა თეთრუაშვილის და გიორგი ანდრიაძის ხელშეწყობით პატრიარქის სახლში თურქეთის მიერ ტერორიზმში, მკვლელობასა და გატაცებაში ბრალდებული პირები აფარებდნენ თავს. ანდრიაძე ამ ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ ისინი არა ტერორიზმში ბრალდებულები, არამედ პატრიოტი ლაზები იყვნენ, რომლებიც თურქეთის ხელისუფლების მართვის სტილს აპროტესტებდნენ.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პეტრე მამრაძე: „საკონსტიტუციო ჭიდილში ოპოზიციამ თავი შეირცხვინა“

მანანა იაშვილი

„ახალი თაობა“ **პეტრე მამრაძეს** საკონსტიტუციო საკითხებზე ესაუბრა.

***– რას ფიქრობთ კონსტიტუციის მიღების რამდენიმეთვიან განხილვასა და ჭიდილზე ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის, რომელსაც ვენეციის კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები მოჰყვა?***

– ვენეციის კომისიის შენიშვნები, რაც დარჩა, მოსალოდნელი იყო. ნიუანსები აქ არის იურისტების საქმე, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ კონსტიტუციონალისტები. პროფანაციაა, როდესაც ყველა ცდილობს იმსჯელოს და შეაფასოს ეს რთული საკითხი. აიღეთ იგივე პროპორციულის და მაჟორიტარული სისტემის განხილვა, მე დავსწრებივარ უცხოელი პროფესიონალების სემინარებს, სადაც იყო იმდენი „პრო“ და „კონტრა“ არგუმენტები, რომ თუ ამ პროცესში თავიდან ბოლომდე ჩართული არ ხარ, არ გაანალიზებ, არ იმსჯელებ, მოცემულ ეტაპზე ქვეყნისთვის რომელი სჯობია, რთულია პოზიციის ჩამოყალიბება. სამაგიეროდ, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რაც რელიეფურად გამოჩნდა კონსტიტუციაზე კამათის პროცესის დროს. პარადოქსი არის ის, რომ „ოცნებამ“ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა იმ პირობებში, როდესაც არჩევნებზე მთელი ხმების მხოლოდ 26% აქვს მიღებული და მაჟორიტარულის 73-ივე მანდატი, ისიც უმეტესად მეორე ტურებში, სადაც ამომრჩევლების უმეტესობა არც მისულა.

***– მაგრამ უკვე საკმაო დრო გავიდა არჩევნებიდან და რატომ თავიდანვე სერიოზულად არავინ გააპროტესტა, თუ ეს შედეგი არ მოსწონდათ?***

– მე სხვას ვამბობ, მოქმედი კანონი და საარჩევნო კოდექსი ისეთია, რომ ამომრჩევლების მხოლოდ 26%-ით მიიღეს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში. შემდეგ კონსტიტუციაზე მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ მათ მიიღეს არა კარგი, თანამედროვე კონსტიტუცია, რომელიც უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყანას, არამედ აინტერესებთ თავისი ხელისუფლების შენარჩუნება და გამტკიცება.

***– ხომ იყო საერთო სახალხო განხილვები, რომელშიც იყო საზოგადოება ჩართული, იქ დადიოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებიც, ასე არაა?***

– ამ განხილვებს ბრჭყალებში ჩავსვამდი. საერთო-სახალხო განხილვა ნიშნავს, რომ სპეციალისტებმა, იურისტ-კონსტიტუციონალისტებმა პოპულარული ენით გააცნონ მოსახლეობას ცვლილებების შინაარსი და ხალხის შეკითხვებს გასცენ პასუხი. თორემ მასასთან მსჯელობა, როგორი კონსტიტუცია უნდა გვქონდეს, არის პროფანაცია. კონსტიტუციონალისტები, რომლებსაც 50 წელი უმუშავიათ ამ დარგში, ვერ თანხმდებიან ბევრ საკითხზე.

***– რამდენიმე შეკრებას მეც ვესწრებოდი და იქ ხალხისგან წამოსული კითხვები ეხებოდა არა იმას, რასაც მარგველაშვილი და მის გარშემო შეკრებილები აპროტესტებენ, არამედ ლაპარაკი იყო კონკრეტულ საკითხებზე. ხალხს აინტერესებდა მიწის კანონი, საკუთრების კანონი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მოქალაქეობის კანონი, როგორ დარეგულირდება მიგრაცია და ასე შემდეგ, განა ეს პროფანაციაა?***



– ცივ შხაპს შემოვიტან ამ საუბარში და ვიტყვი, რომ კონსტიტუციის დაწერილი კანონი ერთია და რეალური მოქმედი კანონები ხშირად არის სულ სხვა. უფროს თაობას ახსოვს და შეგახსენებთ, რომ როდესაც სტალინის კონსტიტუციით არჩევნების უფლება მიენიჭა ყველა ზრდასრულ ქალსა და მამაკაცს, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ეს არ იყო. ბოლშევიკებს მოჰყავდათ ეს არგუმენტი, რომ ჩვენთან დემოკრატიაა და ბურჟუაზიულ ქვეყნებში არ არის. როდესაც ვეუბნები ახალგაზრდებს, რომ შვეიცარიაში ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება 1973 წელს, როდესაც მე 21 წლის ვიყავი, მათ ეს არ სჯერათ. რატომღაც არასდროს არავინ აცხადებდა შვეიცარიას არადემოკრატიულ ქვეყნად. სსრკ-ს ჰქონდა დემოკრატია? ასევე მიწის კანონი, დამიჯერეთ, როგორც პროფესიონალს, რომ შეიძლება კანონი მივიღოთ და მიწა ისევ გაიყიდოს უცხოელებზე, რადგან ყოველთვის რჩება შესაბამისი გზები.

***– მაგრამ ხომ სჯობს ეს ნორმა ჩაიწეროს, ვიდრე სულ არ იყოს?***

– კარგია, რომ სწორი და კარგი დებულებები ჩაიდოს კონსტიტუციაში, მაგრამ როდესაც ვამბობ, რომ ისინი ზრუნავენ მხოლოდ ძალაუფლებაზე, ახალ კონსტიტუციაში ეს ნათლად ჩანს. ვთქვათ, ქვეყნის მოწყობა. როდესაც სააკაშვილი თავის გემოზე კონსტიტუციის ჭრაკერვას აწარმოებდა, ზრუნავდა იმაზე, რომ საქართველოში ყოფილიყო სუპერ საპრემიერო რესპუბლიკა და თავის თავს მოიაზრებდა პრემიერად, რისი ანალოგიც მსოფლიოში არ მოიძებნება, ახლა ესენი ზრუნავენ, რომ მუდმივად დარჩნენ ხელისუფლებაში.

***– პუტინმა ხომ ადრე იგივე გააკეთა?***

– არა, სხვაობა დიდია, პუტინი ისე წავიდა პრემიერად და ისე დასვა თავის მარჯვენა ხელი მედვედევი პრეზიდენტად, რომ კონსტიტუციას ხელი არ ახლო. პუტინი იმდენად დარწმუნებული იყო თავის ავტორიტეტში, რომ ის უზარმაზარი უფლებები, რაც მას პრეზიდენტობის დროს ჰქონდა, აღმოჩნდა მედვედევის ხელში. ოპოზიცია მოუწოდებდა მედვედევს, ხელი მოეწერა პრემიერ პუტინის გათავისუფლებაზე და მაშინ პუტინი ჰაერში დარჩებოდა, მაგრამ მედვედევმა ეს არ გააკეთა.




სააკაშვილს კი იმდენად ეშინოდა თავისი გარემოცვის, რომ მას სჭირდებოდა მყარი კონსტიტუციური გარანტიები. ამიტომ მაშინ საშინელი მონსტრი ჩაიდო კონსტიტუციაში, პრემიერს ყველაფრის უფლება ჰქონდა. მაშინ ჩაიდო კონსტიტუციაში პრემიერის რწმუნებულების საკითხი. შევარდნაძის დროს გუბერნატორებზე კონსტიტუციაში არაფერი ეწერა, ეს დროებითი ფორმა იყო ქვეყნის ფეხზე დადგომამდე. სააკაშვილის შემოტანილი გუბერნატორების ინსტიტუტი თავისი აპარატით, ერთი მხრივ, ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს, მეორე მხრივ, კლავს, აფერხებს ქვეყანაში თვითმმართველობის განვითარებას, ამის გარეშე კი დემოკრატიაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ასევე, არ შეიძლება ლაპარაკი ეკონომიკურ განვითარებაზე. სანამ ადგილებზე თვითმმართველობის ორგანოებს რეალურად არ აქვთ უფლება, თავისი ბიუჯეტი შექმნან და განკარგონ, მანამდე არის ცენტრალიზებული მმართველობა, რაც გინდა ლამაზი სიტყვები შეიტანე კონსტიტუციაში. ამიტომ ვყვიროდი, რომ კონსტიტუციაში ეს მუხლები ამოსაღებია, მაგრამ დატოვეს.

***– მაგრამ ხომ არის რაღაც პროგრესი, სააკაშვილისეულ კონსტიტუციასთან შედარებით, რაღაც ხომ გაასწორეს?***

– მეტწილად ქაღალდზე დიდი პროგრესია. რეალურად კი მართლა დიდი პროგრესია, რომ პროკურატურა ისევ შეიტანეს სასამართლო ხელისუფლებაში და ასეც უნდა იყოს. აქამდე პროკურატურა იყო აღმასრულებელი ხელისუფლების, ესე იგი „ოცნების“ ხელისუფლების მორჩილი ინსტრუმენტი. დავალების გარეშე არაფერი ხდება, გავიხსენოთ სრულიად უდანაშაულო ადამიანის, ექსპერტ ლევან ჩაჩუას, დაპატიმრება. ხანდაზმული და მძიმედ ავადმყოფი ადამიანი მაინცდამაინც შეაგდეს დილეგში და ამან გამოიწვია უცხოელ დამკვირვებელთა გაოგნება. ჯერ ერთი, პროკურატურის მუშაკებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ ეს ადამიანი უდანაშაულოა და ბზარი ჟვანიასა და უსუპოვის ექსპერტიზაში მას არ მიუძღვის.

***– ხომ გამართლდა?***

– დიახ, მაგრამ დაჭერის ბრძანება ხომ იყო. ასევე, ჰაკიმფაშას კადრები, სასირცხვო საქმე. ბევრი რამის გახსენება შეიძლება, როდესაც პროკურატურა დავალებას ასრულებდა. გაიხსენეთ ყბადაღებული ტრაქტორების საქმე, წამოწყებული მხოლოდ იმისთვის, რომ პატიოსანი ადამიანი და უმაღლესი რანგის პროფესიონალი დავით კირვალიძე გადამდგარიყო სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტიდან. მერე კი სთხოვდნენ დაბრუნებას, მაგრამ, ბუნებრივია, აღარ ინება. ახლა მაღალი თანამდებობა უჭირავს შეერთებული შტატების შესაბამის აგროსაბჭოში. ასე დაკარგა საქართველომ კიდევ ერთი პატიოსანი უმაღლესი ხარისხის პროფესიონალი.

***– დიახ, სამწუხაროა ამგვარი დანაკარგი და სხვაც ბევრი პატიოსანი და გამრჯე ადამიანი დავკარგეთ, მაგრამ თუ პროგრესს ხედავთ, იქნებ მომავალში დაბრუნდნენ, თუნდაც ოპოზიციაში.***

– მომავალზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამ საკონსტიტუციო ჭიდილში ძალიან შეირცხვინა თავი დღევანდელმა ოპოზიციამ, აქ მე ცალკეულ პიროვნებებს არ შევეხები, მთელმა მოსახლეობამ დაინახა, რომ მათ პროგრესული, კარგი კონსტიტუცია კი არ აინტერესებთ, არამედ კონსტიტუციის ის მუხლები, როგორ შეძვრნენ პარლამენტში. ამ ოპოზიციამ კარგა ხანია დაამტკიცა, რომ ხელისუფლებაში ყოფნა თავისი კეთილდღეობისათვის სურთ, რომ ჰქონდეთ შავი ჯიპები, დიდი შემოსავალი და თავისი ბიზნესი დაცული. როდესაც ჩვენი ვაიპრეზიდენტი გამოდის და ამბობს: „აი ტექსტი, რომელზეც კონსენსუსი მიღწეულია 20 პოლიტიკურ პარტიასთან“, ეს ხომ ანეკდოტია, რომ საქართველოში არის 20 პოლიტიკური პარტია, რომელთანაც კონსენსუსია მიღწეული და აბა დანარჩენი 241 სად არის? თუ არ ვცდები, 261 პარტია იყო რეგისტრირებული. ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ადამიანური, სოციალური რესურსი არ არის, რომ რეალურად 4-5 პარტიის მეტი არსებობდეს.

***– რატომ ვაიპრეზიდენტი?***

– მარგველაშვილს მრავალჯერ ჰქონდა საშუალება, პრინციპული პოზიცია დაეჭირა და ამ არაფრისმომცემ ვეტოებს არ გადაჰყოლოდა, მაგრამ თავისი ახალგაზრდობის მეგობრების სურვილებს გადაჰყვა და მათ დავალებებს ასრულებს. მაგრამ მეორე მხრივ, ის გაირიყა და ამოვარდა პატრონყმური სისტემიდან. ჩვენ დამოუკიდებელი მოთამაშე მივიღეთ და ეს კარგია. სხვა საკითხია, რატომ ამოვარდა, მაგრამ კარგია თუნდაც ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მასთან მიესვლებათ.

***– მაგრამ ის ხომ მეორე პატრონის მართულია?***

– სააკაშვილი მისი პატრონი არ არის, ის ბევრჯერ გამოსულა მისი კრიტიკით. თქვენ ვერ გამიგეთ, სჯობს, ქვეყანაში ორი პოლიტიკური პოლუსი არსებობდეს, ვიდრე ერთი.

***– შეძლო მეორე პოლუსის შექმნა?***

– საქმეც ისაა, რომ სუსტი პიროვნებაა და ვერ შექმნა, მაგრამ არის რაღაც მცდელობა, დამოუკიდებელი ხმა. რამდენმა უცხოელმა, ჩვენმა დიდმა გულშემატკივარმა დაწერა, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიის ოაზისი ამ ურთულეს რეგიონში. გადახედეთ ჩვენს მეზობლებს, ხომ მეთანხმებით, რომ რუსეთში კლეპტოკრატიული, ჩეკისტური მმართველობაა; აზერბაიჯანში რა რეჟიმიცაა, უხერხულიც კი არის ამაზე ლაპარაკი; სომხეთში, მოგეხსენებათ, რუსეთის სამხედრო ბაზების ტერიტორიაა. ძალიან გული მტკივა, რომ ჩვენს მეზობლებზე, მეგობრებზე ასე ვილაპარაკო, მაგრამ როდესაც სომხეთს საშუალება მიეცა, ჩვენზე ადრე მოეწერა ხელი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებისათვის, ორი დღით ადრე პუტინმა პრეზიდენტი სარქისიანი მოსკოვში დაიბარა და სომხეთმა უარყო ევროპასთან ასოცირების შეთანხმება და ხელი მოაწერა რუსეთთან საბაჟო ხელშეკრულებას და ევრაზიის კავშირს. თურქეთში რაც ხდება, ხედავთ.

მივესალმები იმას, რომ დღევანდელი ხელისუფლება იცავს რა ეროვნულ ინტერესებს, არასოდეს ღია კრიტიკით არ გამოდის იმ მოვლენებზე, რაც ხდება სამეზობლოში. მაღალი ტრიბუნიდან, გაერო იქნება თუ სხვა საერთაშორისო შეკრება, ჩვენი ხელისუფლება ზედმეტობის გარეშე ყოველთვის ამბობს თავის სათქმელს.

# თემურ ჭყონია მსხვილ ბიზნესს უცხოურ ფინანსურ ბაზრებზე გასვლას ურჩევს

– დროა მსხვილი ბიზნესი, რომელსაც კარგი აუდიტორული დასკვნა აქვს, უცხოურ ფინანსურ ბაზრებზეც გავიდეს და ადგილობრივ ბანკებში არ ჩაიკეტოს, – ასეთ განცხადებას ბიზნესმენი თემურ ჭყონია „კომერსანტთან“ საუბრისას აკეთებს.

მისი განცხადებით, საქართველო ევროინტეგრაციის გზით მიდის, ამოქმედდა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, გვაქვს უვიზო რეჟიმი, განვიხილეთ ყველა ის თემა, რომელიც ევროპასთან გვაკავშირებს. თუმცა, ჭყონიას განმარტებით, ევროპაში არსებობს ფინანსური სისტემებიც, რომელიც არ უნდა გამოგვრჩეს.

– ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე რომ მივდივართ, გარდა ღირსშესანიშნაობებისა, ევროპაში ფინანსებიც არის. გარდა ევროპული ცოდნისა, კულტურისა, დემოკრატიისა და ევროპული სასამართლო სისტემისა, არსებობს ევროპული ფინანსური ორგანიზაციებიც, რომელსაც ჩვენ რატომღაც ვუფრთხით. თუ ჩვენ ევროპის ნაწილად განვიხილებით, მაშინ ევროპის ფინანსურ ნაწილადაც უნდა განვიხილებოდეთ. უნდა შეგვეძლოს ამ ფინანსურ სისტემაში ჩართვა, – აცხადებს ჭყონია.



ბიზნესმენის თქმით, ევროპის ბანკები ითხოვენ გამჭვირვალობას, სწორ ფინანსურ აუდიტს, კარგ ისტორიას, ანუ ზუსტად ისეთს, როგორც ქართული ბანკები.

– განსხვავება არის ის, რომ უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებს ისტორიულად უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ, ეს კი არავის არ უნდა ეწყინოს. განსხვავებულია ფინანსური სახსრების გაცემის სტრუქტურა, გადახდის პირობები, დაბალი საპროცენტო განაკვეთი, – აცხადებს ჭყონია.

მისივე განცხადებით, უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან თანხის მოზიდვა საკმაოდ რთულია. თუმცა, მსხვილი ბიზნესიც მივა იმ დონეზე, რომ განვითარდეს და მისთვის პრობლემა არ იყოს უცხოური სესხის მოზიდვა. რაც შეეხება ქართულ ბანკებს, ისინი ამის პარალელურად განვითარდებიან.

„კომერსანტი“ უკვე წერდა, რომ ბიზნესმენი თემურ ჭყონია საქართველოში McDonald's-ის მენიუსთვის განკუთვნილი ფუნთუშების ქარხნის მშენებლობისთვის ფინანსური რესურსების მოსაზიდად მოლაპარაკებებს OPIC-თან (ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია) და EBRD-თან (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) მართავს. მისი განცხადებით, საუბარია დაახლოებით 5 მილიონი ევროს მოზიდვაზე.

# გია ხუხაშვილი: „სხვა რა უნდა ექნა მარგველაშვილს, შიმშილობას ხომ არ დაიწყებდა?!“

## პრეზიდენტის უარის მიუხედავად, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მაინც გაიმართება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის თავმჯდომარეს დაბადების დღე ჩააშხამა. გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე უარი თქვა. ამ უარით მან ირაკლი კობახიძე ძალიან გაანაწყენა.

მარგველაშვილის უარის შესახებ ერს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ აუწყა. მისი თქმით, კონსტიტუციის ახალი პროექტი „ქართული ოცნების“ ერთპარტიული დოკუმენტია.

– კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ნაჩქარევად მოხდა და მასში არ არის გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. შედეგად ჩვენ ვიღებთ ერთპარტიულ დოკუმენტს. ამასთან, პროექტი ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოთა შორის ელემენტარულ ბალანსსაც კი და, შესაბამისად, ქმნის ერთპარტიული მმართველობის საფრთხეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი რიგგარეშე სხდომას არ ნიშნავს. ეს არის პრეზიდენტის პოლიტიკური აქტი, რადგანაც, კონსტიტუციის თანახმად, უმრავლესობას თვითონაც შეუძლია, შეიკრიბოს 48 საათის გავლის შემდეგ, – განაცხადა ანა დოლიძემ.

პრეზიდენტის უარის მიუხედავად, კონსტიტუციაზე სასაუბროდ და კენჭისსაყრელად პარლამენტი მაინც შეიკრიბება.

კანონმდებლებმა მარგველაშვილს რიგგარეშე სესიის მოწვევაზე თხოვნით 24 სექტემბერს 14.00 საათზე მიმართეს. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი კახიანის თქმით, 48 საათის გასვლის შემდეგ მარგველაშვილის გარეშეც შესაძლებელია სხდომის მოწვევა.

დეპუტატის საუბრიდან ირკვევა, რომ „ქართული ოცნება“ პრეზიდენტისგან უარს ელოდებოდა.

– ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ კონსტიტუციის პროექტზე მესამე მოსმენა იქნებოდა ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ და ეს გვინდოდა ყოფილიყო 26 სექტემბერს.

გავითვალისწინეთ ის შემთხვევაც, როგორ მოვქცეულიყავით, პრეზიდენტს სხვადასხვა მიზეზების გამო რომ არ მოეწვია რიგგარეშე სხდომა. ვინაიდან პრეზიდენტს კვირას, 14:00 საათზე გაეგზავნა მოწვევა რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, 48 საათი იწურება დღეს, 26 სექტემბერს 14:00 საათისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ვინაიდან პრეზიდენტმა არ გამოსცა ეს აქტი, სამშაბათს 14:00 საათიდან პარლამენტს შეუძლია შეიკრიბოს და იმსჯელოს კონსტიტუციური კანონის პროექტის მესამე მოსმენაზე, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში კახიანმა.

პარლამენტის სპიკერი ირაკლი კობახიძე დარწმუნებულია, რომ გიორგი მარგველაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებს ვეტოს დაადებს.

მისივე აზრით, ვეტოს მოყოლილი მოტივირებული შენიშვნები პრეზიდენტისა და 20 პარტიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის შესაბამისი იქნება.

– სავარაუდოდ, ამ კანონპროექტს ვეტო დაედება, ის იქნება იმ დოკუმენტის შესაბამისი, რაც შეიმუშავა პრეზიდენტმა ე.წ. 20 პარტიასთან ერთად. მე პირდაპირ შემიძლია ძალიან თამამად განგიცხადოთ შემდეგი – არც ერთ შენიშვნას, რაც იყო წარმოდგენილი ამ დოკუმენტში კანონპროექტის სახით, ვენეციის კომისია არ იზიარებს გარდა ერთისა – ვენეციის კომისიამ გამოხატა უკმაყოფილება იმით, რომ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა პროპორციული სისტემის 2020 წელს ამოქმედება, – ამბობს მედიასთან საუბარში ირაკლი კობახიძე.



პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ამის გარდა, ვენეციის კომისია მარგველაშვილის არც ერთ შენიშვნას არ ითვალისწინებს.

– არც ერთ სხვა შენიშვნას არ იზიარებს ვენეციის კომისია. ეს ეხება პრეზიდენტის არჩევნების წესსაც. ვენეციის კომისიამ მოგვიწონა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევა; პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას არც ერთი შენიშვნა არ აქვს; ასევე, მთავრობის საკითხებთან დაკავშირებით არ არის არც ერთი შენიშვნა; უშიშროების საბჭოს გაუქმებასთან დაკავშირებით არ არის არც ერთი შენიშვნა; თავდაცვის თავთან დაკავშირებით არ არის არც ერთი შენიშვნა ვენეციის კომისიის დასკვნაში. შესაბამისად, პრეზიდენტის და ე.წ. 20 პარტიის პოზიცია არის მთლიანად აცდენილი ვენეციის კომისიის დასკვნას. ვენეციის კომისიამ ჩვენ მოგვცა ძალიან პოზიტიური დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ პროპორციული სისტემა იმ პირობებში, როდესაც დადგენილია 5%-იანი ბარიერი პარტიებისთვის, სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, – აღნიშნავს სპიკერი.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში ირაკლი კობახიძე პრეზიდენტისა და ოპოზიციის ურთიერთობებსაც შეეხო.

ის გიორგი მარგველაშვილს ოპოზიციონერ პრეზიდენტად მოიხსენიებს და ამტკიცებს, რომ ის ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ამ პროცესებში არ ჩართულიყო.

მისივე მტკიცებით, პრეზიდენტი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც საკონსტიტუციო კომისიას და ვერც პარლამენტს ხელი ვერ შეუშალა.

– პრეზიდენტმა საკუთარი თავის სრული ილუსტრაცია მაშინ მოახდინა, როცა ოპოზიციის მიერ შექმნილ დოკუმენტს თანხმობის დოკუმენტი უწოდა. მან პირდაპირ აჩვენა, რომ ოპოზიციის პრეზიდენტია და არა ქართველი ხალხის. ის ქართველ ხალხს გაემიჯნა და ოპოზიციის პრეზიდენტად დარჩა. პრეზიდენტი თავის თავს ყოველდღიურ რეჟიმში ასე წარმოაჩენს და ეს დღესავით ნათელია, – განაცხადა კობახიძემ.

ექსპერტი გია ხუხაშვილი პრეზიდენტის უარს გაგებით ეკიდება. მისი თქმით, მარგველაშვილი კონსტიტუციას არ დაარღვევდა და ამით „ქართულ ოცნებას“ საჩუქარს არ გაუკეთებდა.

ხუხაშვილის განმარტებით, დღეს ხელისუფლება იზოლაციაში იმყოფება.

– მარგველაშვილმა საპარლამენტო რიგგარეშე სესიის არდანიშვნით ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ ასე მოქმედება დაუშვებელია. ფაქტობრივად, დღეს ხელისუფლება სრულიად იზოლირებულია და მას არ ჰყავს პარტნიორი, არა მხოლოდ პოლიტიკურ ოპოზიციაში, არამედ მესამე სექტორშიც. სამოქალაქო საზოგადოება ზუსტად პრეზიდენტის მსგავსად ფიქრობს და, შესაბამისად, მარგველაშვილმა ამ ქმედებით საზოგადოების პოზიცია დაიკავა.



„ქართული ოცნება“ კი ამბობს, რომ ვენეციის კომისიას ჩვენი ხელისუფლება შეუყვარდა, მაგრამ სინამდვილეში ხომ სიტუაცია სრულიად სხვაგვარია. „ოცნებამ“ უარი თქვა იმ ფუნდამენტურ საკითხზე, როგორიც არჩევნების სრულიად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა თავისი პოლიტიკური დამოკიდებულება ამ სახით გამოხატა, აბა შიმშილობას ხომ არ დაიწყებდა?!, – აღნიშნა ხუხაშვილმა მეტრონომთან საუბარში.

* * *

მარგველაშვილის უარით განერვიულებულმა „ოცნებამ“ რიგგარეშე სხდომა მაინც დანიშნა. სხდომა, როგორც გიორგი კახიანმა განაცხადა, 26 სექტემბერს გაიმართება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით, 24 სექტემბერს, 14:01 საათზე გაიგზავნა მოთხოვნა პრეზიდენტთან რიგგარეშე სხდომის დანიშვნის თაობაზე.

– ჩვენ 48 საათის განმავლობაში ვართ უფლებამოსილი, შევიკრიბოთ. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, ხვალ, 14:00 საათიდან ნებისმიერ დროს გავმართოთ პლენარული სხდომა და, შესაბამისად, შევუდგებით საკონსტიტუციო პროექტის განხილვას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რიგგარეშე სხდომის წინა დღეს საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალმა პარტიებმა მარგველაშვილის დასაგმობად საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

ისინი უსირცხვილო ტყუილს უწოდებენ იმ განცხადებას, რომ კონსტიტუციას მხოლოდ ერთი პარტია – „ქართული ოცნება“ იღებს.

„ახალი თაობა“ ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– საქართველოს პარლამენტის უმრავლესობაში, გარდა „ქართული ოცნებისა“, ფრაქციების სახით წარმოდგენილია ოთხი პოლიტიკური სუბიექტი, რომლებსაც ცნობადობაც, ისტორიაც, რეიტინგიც, რეპუტაციაც და პარტიის წევრთა რაოდენობაც კი გაცილებით დიდი აქვთ, ვიდრე პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური პროცესის დასაზიანებლად შემოკრებილი პარტიების უდიდეს უმრავლესობას.

შესაბამისად, უპასუხისმგებლო და ტყუილია ნებისმიერი განცხადება იმის შესახებ, თითქოს ახალი კონსტიტუცია მიიღება მხოლოდ ერთი პარტიის მხარდაჭერით.

ამიტომ, მოვუწოდებთ ჩვენს ოპონენტებს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებშიც აშკარად და მიზანმიმართულად შეურაცხყოფენ მინიმუმ ოთხ საპარლამენტო პარტიას.

აქვე, საპარლამენტო უმრავლესობაში ფრაქციების სახით წარმოდგენილი პარტიები, აბსოლუტურად თანაბრად ვიზიარებთ ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას და მოხარულები ვართ, რომ თითქმის ერთწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად, შევქმენით ისეთი კონსტიტუციური პროექტი, რომელიც უპრეცედენტო საყოველთაო-სახალხო განხილვებისას მხარდაჭერილია საზოგადოების მიერ, დადებითად აფასებს ვენეციის კომისია და უდავოა, რომ ამ კონსტიტუციური რეფორმით ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარება იქნება უზრუნველყოფილი, – ვკითხულობთ განცხადებაში,

განცხადებას ხელს „სოციალ-დემოკრატები – საქართველოს განვითარებისთვის“, საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს მწვანეთა პარტია და „პოლიტიკური გაერთიანება – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აწერენ.

# ვინ აღიარებს ცხინვალში დაფუძნებულ ალანიის ეპარქიას

შორენა მარსაგიშვილი

სანამ საქართველოს მთავრობა და ეკლესია ციანიდის სკანდალზეა გადართული, რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთის და სამაჩაბლოს ათვისებას აგრძელებს. ამ დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ ალანიის ეპარქიამ ავტონომიური სტატუსი მიიღო.



განცხადება ამის შესახებ ცხინვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში გამართულ პრესკონფერენციაზე ეპისკოპოსმა ამბროსი მეთონელმა გააკეთა.

მისი თქმით, ბერძნულმა მართლმადიდებელმა ანტიეკუმენისტურმა სინოდმა ალანიის ეპარქიას ავტონომიური სტატუსი მიანიჭა.

– აქამდე თუ ჩვენი ეპარქია ევქარისტულად და ადმინისტრაციულად ბერძნულ ანტიეკუმენისტურ მართლმადიდებლურ ეკლესიის სინოდს ემორჩილებოდა, ამიერიდან იგი არცერთ უცხოურ სტრუქტურას არ მიეკუთვნება და სახელმწიფო ეკლესიამ ავტონომიურისა და თვითმმართველის სტატუსი მოიპოვა, – აღნიშნა ეპისკოპოსმა.

მისი ინფორმაციითვე, უკვე შემუშავებულია ალანიის ეპარქიის წესდება.

– ეს წესდება დასამტკიცებლად უკვე გადავეცით სამხრეთ ოსეთის იუსტიციის სამინისტროს, – აღნიშნა მეთონელმა.

ოსური მედიის ცნობით, ეპისკოპოსი ცხინვალის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს.

ეპისკოპოსი ამბროსი ცხინვალში პირველად 2000 წელს გამოჩენილა. ის ოკუპირებულ რეგიონში საბერძნეთიდან ჩავიდა, სადაც ცხოვრობდა. ოსური მედიის ცნობით, სწორედ ის იყო ახალი ეპარქიის შექმნის ინიციატორი.

– პირველად აქ 17 წლის წინ ჩამოვედი. მაშინ დავინახე, რომ აქაური ეკლესია დახმარებას საჭიროებდა, – ამბობს ეპისკოპოსი.

ამბობს, რომ თავიდან ძალიან გაუჭირდა. რუსული ცუდად სცოდნია, ოსური საერთოდ არა.

– ახლა ყველაფერი დალაგდა. ახლა ცხინვალში წელიწადში 2-3-ჯერ ჩამოვდივარ და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მორწმუნეებს ვეხმარები, – ამბობს ეპისკოპოსი.

ცნობისათვის, ამ კაცმა ალანიის ეპარქია 2003 წელს დააფუძნა. მას ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა.

ამბროსის ეპარქია რიგით მეორე ალანიის ეპარქიაა. ბუნებაში ასევე არსებობს რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ვლადიკავკაზის (ალანიის) ეპარქია. მისი საზღვრები ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას არ სცდება.

ეპარქიას მართავს ეპისკოპოსი ლეონიდე გორბაჩოვი, რომელიც ხშირად ჩადის ცხინვალში და აქაურ საქმეებში ჰყოფს ცხვირს.

ამბროსის სახით მას კონკურენტი გამოუჩნდა. ალანიის ახალი ეპარქია რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ ექვემდებარება.

გამოდის, რომ ისევე, როგორც აფხაზეთში, სამაჩაბლოშიც ორად გახლეჩილი ეპარქია მივიღეთ.

# რატომ დატოვეს სამხედრო მოსამსახურეები შემწეობის გარეშე?!

გულიკო ბალაძე

შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერი, სამხედრო ექსპერტი **დავით ნემსაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ავღანეთში ნამსახურები, ვეტერანი სამხედრო მოსამსახურეები თავდაცვის სამინისტრომ ხიდაშელის დროს შემწეობის გარეშე დატოვა და მათი პრობლემის მოგვარება დღესაც არ ხდება.

***– ბატონო დავით, რატომ დატოვეს შემწეობის გარეშე დავით მახარეიშვილი, რომელზეც თქვენ საუბრობთ?***

– არა მარტო დავით მახარეიშვილი, არამედ მასთან ერთად რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დატოვეს შემწეობის გარეშე. ამ ბიჭებს ფსიქოლოგიური ტრავმა აქვთ მიღებული. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, მათ ტკივილების შესამსუბუქებლად თრიაქი მიიღეს (ე.წ. პლანი). ადამიანი 20 გრამ მორფინს იკეთებს დღეში, ვენაში იმისათვის, რომ ტკივილი გაუყუჩდეს, თრიაქი რა არის. თრიაქზე დამღუპველი უსამართლობაა. არმია არავის კანტორა არ არის.

***– რატომ სჭირდებათ ამ სამხედრო მოსამსახურეებს მორფინი ან თრიაქი?***

– ავღანეთში ჭრილობები აქვთ მიღებული. მაგალითად, ჰელმანდის პროვინციაში 2012 წლის 28 ივლისს პატრულირების დროს ხელთნაკეთ ნაღმზე აფეთქებულ დავით მახარეიშვილს ხერხემლის მე-2-3 და მე-4 მალების კომპრესიული მოტეხილობა და გულმკერდის მე-2 და მე-3 მალების მოტეხილობა ჰქონდა. თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და გენშტაბის იმდროინდელმა უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ შემწეობის გარეშე დატოვეს.

ე.წ. მისიებში რომ გაბერილი კონტინგენტით ვდგავართ და 20% ოკუპირებულ ქვეყანას 870 ჯარისკაცის საკუთარი უსაფრთხოებიდან მოშორება არ გვაწუხებს, ფაქტია. ეროვნულ ინტერესს ვერც მაშინ ვგრძნობთ, როცა თავდაცვის 600-მილიონიანი ბიუჯეტიდან 145 მილიონს მისიებში ვფლანგავთ, საიდანაც არანაირი პოლიტიკური სარგებელი არ მიგვიღია.

***– ისევ ამ ადამიანების პრობლემას დავუბრუნდეთ.***

– დიახ, თუ ასეთი ადამიანი ცდილობს შეიმსუბუქოს მდგომარეობა, ეს არ უნდა გახდეს მისი დისკრედიტაციის, მოშორების და განადგურების საბაბი.

თქვენს გაზეთს ექსკლუზიურად ვეტყვი, რომ მე მაქვს ქალბატონების ხიდაშელისა და ანა დოლიძის პირადი მიმოწერები ამ ჯარისკაცთან. გამოაქვეყნეთ, ნახოს საზოგადოებამ, როგორ ექცევა ავღანეთის ომში დაინვალიდებულ ბიჭებს, ასეთი ჰიბრიდული საზოგადოება.

***– რას წერენ ჯარისკაცს, რაზეა ლაპარაკი მიმოწერაში?***

– ამ მიმოწერას გადმოგცემთ და პირადად წაიკითხეთ.

***– შემწეობის გარეშე დატოვება რას ნიშნავს?***

– ვინც ომებში მონაწილეობს და ზიანდება, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა უნდა მოაწესრიგოს მათი პრობლემები, თუმცა, ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული, რომ დაჭრილი ადამიანი, ვეტერანი სახლში იჯდეს და დახმარება იქ მიიღოს. უბრალოდ, ისინი დანიშნული არიან ოფიციალურ, მოქმედ შტატზე, მაგრამ არ დადიან და ფიქტიურად იმყოფებიან სამკურნალო მივლინებაში და არ ცხადდებიან. როდესაც ხიდაშელმა ეს პიროვნება სამსახურიდან გააგდო და აუკრძალა, ყოფილიყო დანიშნული, რომ ხელფასი აეღო, ეს ნიშნავს შემწეობის გარეშე დატოვებას.

***– რატომ მიიღო ხიდაშელმა ასეთი გადაწყვეტილება?***

– ამით ხიდაშელმა დასაჯა ყველა ჯარისკაცი. მათ უთხრა, ვისაც ჩემი არ შეეშინდება, ვინც ჩემს პოლიტიკას არ გაატარებს, მიუხედავად იმისა, დაჭრილია თუ არა, ყველას დავსჯიო.

***– ამ ბიჭებმა ახალ მინისტრს მიმართეს?***

– ვის უნდა მიმართონ, ჩაჩიბაია და იზორია ჯარისთვის ვერ იცლიან.

***– რას ჰქვია ვერ იცლიან? პრობლემის შესახებ იციან?***

– ბატონებმა იზორიამ და ჩაჩიბაიამ ამ პრობლემის თაობაზე ძალიან კარგად იციან, მაგრამ ჯარის პრობლემებით არ არიან დაკავებული.

***– აბა, რით არიან დაკავებული?***

– იზორია და ჩაჩიბაია დაკავებული არიან პირადი ქონების შეძენით, დაგროვებით და ბიუჯეტის ხარჯზე ცხოვრებით. მათ მეტი არაფერი აინტერესებთ. თუ იქ ვინმე დაინვალიდებულია და პრობლემები აქვს, ეს მათ ინტერესის სფეროში არ შედის.

***– თქვენ ახლა ბრალდებებს უყენებთ თავდაცვის სამინისტროს პირველ პირებს, რამდენად საფუძვლიანია თქვენი ბრალდებები?***





– ჩემი ბრალდებები სრულიად საფუძვლიანია. გადახედეთ მათ ხარჯებს, იზორიამ 84 ათასი ლარი პრემია აიღო. მეტი ფაქტი რა გინდა? იზორიას მოადგილეებმა სამ თვეში პრემიები აიღეს რამდენიმე ნულით, რაც გაუგებარია, რაში აიღეს. ბატონი ჩაჩიბაია მიწებს ყიდულობდა გაგანია 2008 წლის ომის დროს, როცა ომი დამთავრებული არ იყო. როცა ჩაჩიბაია საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებით უნდა ყოფილიყო დაკავებული, ამ დროს ის ყიდვა-გაყიდვითა და ვაჭრობით იყო გართული. ნეპოტიზმს მიაქვს ყველაფერი. ამ ბიჭებს კი ყურადღებას არავინ აქცევს.

მოუწოდებ ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ვლადიმერ იმნაძესა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი სესიაშვილს, ყველაფერი გააკეთონ ამ დაინვალიდებული და დაჭრილი ბიჭების თანასწორ პირობებში დასაბრუნებლად – დაუბრუნონ მათ ხიდაშელის მიერ წართმეული ლუკმაპური. მანამ არ გავჩერდები, სანამ არ მივაღწევ შედეგს, რადგან იზორიას და ჩაჩიბაიას არმიის აღმშენებლობისთვის, როგორც ჩანს, დრო არ აქვთ.

***– სამხედრო მისიებისადმი ასე ნეგატიურად რატომ ხართ განწყობილი?***

– არც დეოკუპაცია მომხდარა, არც არმიის საბრძოლო პოტენციალის გაძლიერება, არც ლტოლვილების დაბრუნება. მისიებიდან მივიღეთ მხოლოდ 35 დაღუპული და 150 დაჭრილ-დასახიჩრებული, რომელთა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

***– გარკვეულ გამოცდილებას არ ღებულობენ?***

– არა. გარდა იმისა, რომ საკუთარი უსაფრთხოება ფიზიკურად და ეკონომიკურად შევასუსტეთ, ქართულ გენოფონდსაც სერიოზული დარტყმა მივაყენეთ. გაეროს მონაცემებით, გადაშენების პირას მყოფი ერი ვართ. ეს მიდგომა საკუთარი ქვეყნის ღალატის ტოლფასი ქმედებაა. დანაპირები, ნატო ილუზიად გვრჩება. სამხედრო ბლოკის ნატოს წევრ ქვეყანას, საბერძნეთს ავღანეთის მისიაში სულ 4 ჯარისკაცი ჰყავს. მათი ფუნქცია ეროვნული დროშის აღმართვაა და ამით მთავრდება საბერძნეთის ბრძოლა ე.წ. მისიაში ტერორიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ კი გენოფონდს ვანიავებთ, რადგან ქართული სისხლი იაფია.

მისიების ნეგატიურ მხარეზე საუბარი შორს წაგვიყვანს. იქაური ჭირი ნარკოტიკია, რომელიც მსოფლიოს წამლავს. საბჭოთა არმიის ავღანურ კამპანიას ვინც იკვლევდა, მან იცის 1978-88 წლებში როგორ აისახა პირად შემადგენლობაზე ავღანური კოკაინით თრობა.

ამ პრობლემის გამოძახილი იყო ავღანურ მისიაში ქართველი ჯარისკაცის გიორგი კიკაძის დაღუპვა ის ბაზიდან ავღანურ მოსახლეობაში თრიაქის საშოვნელად გავიდა. რის შემდეგაც დაღუპული იპოვეს, გვამს მრავლობითი ჭრილობა და წამების კვალი აღენიშნებოდა.

მაშინდელმა სამხედრო პოლიციამ, რომელსაც ირაკლი ალასანიას მძღოლი კახა ჩიხრაძე ხელმძღვანელობდა, საქმე შეგნებულად გააუფერულა და დამნაშავეებს ხელი დააფარა, ხოლო ალასანიას მეგობარმა ანდრია გოცირიძემ ეს საქმე მინისტრის ინტერესებშივე მიაჩუმათა, რათა საზოგადოებას სინამდვილე არ გაეგო არსებული პრობლემის შესახებ, არ მომხდარიყო მასობრივი პროტესტის დაფიქსირება.

***– არ გამოუძიებიათ და არავინ დაუსჯიათ?***

– ცხადია, არა. თავისთავად დაუსჯელი დარჩა ყველა ის პირი, ვინც კიკაძეს საშუალება მისცა ბაზა თვითნებურად დაეტოვებინა და ყველა ის ზემდგომი, ვინც ავღანური მისია სისტემურ ფულის საშოვნელ საბადოდ შექმნა. არმიაზე სამოქალაქო კონტროლის არარსებობამ მოიტანა ხელმძღვანელთა ტოტალური სითავხედე და ნაომარი ბიჭების ღვაწლის ტოტალური დაუფასებლობაც.

საქართველოში ჯარისკაცების რეაბილიტაციის კურსს მხოლოდ ფორმალური მხარე აქვს. ტრავმის ერთ-ერთი მაგალითია ომის ტრავმა. ბუნებრივად გამახსენდა იმდროინდელი აშშ საპრეზიდენტო კანდიდატის ბუშის მიმართ ჟურნალისტის დასმული კითხვა „ანაშა მოგიწევიათ?“ იქვე იყო მომავალი პრეზიდენტის ალალი პასუხიც „ვისაც არ მოუწევია, პირველი ქვა მან მესროლოს“.

# „მიხოს ჩერკასში ხინკალი და „პოროშენკოს ბლოკის“ დეპუტატები ელოდებიან“

– საქართველოს ექსპრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი კიევიდან უკრაინის ცენტრში – ჩერკასის ოლქში გადადის და, შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობასთან შესახვედრად სწორედ ჩერკასიდან ივლის. მიხო ამაში ცუდს არაფერს ხედავს და მზადაა ასობით კილომეტრი დაუღალავად დაფაროს, – ამის შესახებ უკრაინული ერთ-ერთი გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:



– რატომ გადაწყვიტა მიხეილ სააკაშვილმა ჩერკასის არჩევა და იხსნება თუ არა იქ პარტიის ახალი ოფისი, – ამის შესახებ ჩვენს გაზეთს დავით საყვარელიძემ განუმარტა:

– ეს არ ნიშნავს პარტიის ოფისის იქ გადატანას. ჩერკასში ჩვენი პარტუჯრედი იქნება, იქ დიდი ხანია ჩვენი ხალხი მუშაობს“. „ახალი ძალების მოძრაობის“ ოფისი ქალაქის ცენტრში მდებარე შენობის მე-9 სართულზეა განთავსებული. პარტია 22,8 კვადრატულ მეტრ ოფისისათვის ქირას თვეში 3 ათას გრივნას (დაახლ. 115 დოლარს) იხდის.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩერკასიდან უკრაინის ვერხოვნა რადაში შვიდი დეპუტატია არჩეული, თეორიულად მიხეილ სააკაშვილი აქ შეიძლება თავის მტრებს გადააწყდეს ფრაქცია „პეტრო პოროშენკოს ბლოკიდან“, მაგალითად, ოლეგ პეტრენკოს, ვლადისლავ გოლუბს, სერგეი რუდიკს და სხვებს. ვინ იცის, როგორი რეაქცია ექნება მიხოს, როცა იგი მტერი პრეზიდენტის მხარდამჭერებს დაინახავს?

სხვათა შორის, ჩერკასის რესტორნებში, თუ მიხეილ სააკაშვილი სმა-ჭამასა და გართობას მოისურვებს, ქართული ეროვნული კერძები საკმაოდ ბევრია. როგორც ამბობენ, ამ ქალაქში ერთ სულ მოსახლეზე, სხვებთან შედარებით, ყველაზე მეტი რესტორანი მოდის. გარდა ამისა, ჩერკასში არის სხვა საქეიფო გასართობი დაწესებულებებიც, რომლებიც მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ სამზარეულოზე არიან დასპეციალებული. მაგალითად, კაფე-რესტორანი „სტუმარი“, რომლის შეფ-მზარეული ყველაზე ნამდვილი ქართველი გახლავთ, თბილისის მკვიდრი.

– ძალიან გაგვეხარდება, თუ მიხეილ სააკაშვილი გვეწვევა. მზად ვართ კარგი ხინკალი ვაჭამოთ, – ამბობს დარია, რესტორნის ოფიციანტი, – ჩვენი ხინკალი ქალაქში ყველაზე გემრიელია“. „სტუმარში“ ჩერკასულ-ქართული თითო ხინკლის ფასი 13 გრივნაა (დაახლ. 50 ცენტი), ხოლო რესტორან „მეხინკლე ბუბა“-ში – 12 გრივნა (იაფი იმიტომაა, რომ იქ მზარეული უკრაინელია).

– თუ მიხეილ სააკაშვილი ჩვენს რესტორანში მოვა, მას ჩვეულებრივად მოვემსახურებით, ყოველგვარი



განსაკუთრებული დამოკიდებულების გარეშე. ყველა მომსვლელს თავაზიანად და პატივისცემით ვეპყრობით, პოლიტიკოსებს რიგითი მოქალაქეებისაგან არ ვასხვავებთ, – გვიყვება „მეხინკლე ბუბას“ ადმინისტრატორი.

შემოდგომა სულიერი დასვენებისა და მოგზაურობების დროა. და თუ მიხო დროის მშვიდად გატარებას მოისურვებს, მისთვის კარგი იქნება, რომ ჩერკასის „თეთრ ლოტოსში“ – ევროპაში ყველაზე დიდ ბუდისტურ ტაძარში მივიდეს. როგორც ექსკურსიამძღოლები ამბობენ, იქ საქართველოს ექსპრეზიდენტი სულიერ სიმშვიდესა და ჰარმონიას ჰპოვებს. მას შეუძლია იქ არა მარტო ჩაი მიირთვას, არამედ აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ტექნიკასაც დაეუფლოს.

– მართალია, ტაძარში შესვლა ფასიანია და ზოგჯერ დაკეტილიც არის ხოლმე, მაგრამ მიხო რისი მიხოა, თუ კარს არ შეანგრევს? – ირონიულად დასძენს გაზეთი.

# დემურ გიორხელიძე: „ლარის თამაშით ვიწრო ჯგუფები დიდ მოგებას ნახულობენ“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** აფასებს.

***– ბატონო დემურ, ლარის კურსი კვლავაც მერყევია. ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, რომ წელს საკმაოდ ბევრი ტურისტი გვყავდა, შემოსავალიც მაღალია, მაგრამ ლარის კურსი მცოცავია და ამის გაკონტროლება რთულია. რას იტყვით თქვენ, რაშია პრობლემა?***

– ლარის კურსის სტაბილურობა არ არის ტურისტების მიერ შემოტანილი თანხების რაოდენობაზე დამოკიდებული. იგი საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში რეგულირდება, როცა ამის სურვილი არსებობს. მათ შორის ეროვნული ბანკი ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, ახორციელებს მონეტარულ პოლიტიკას.

***– რა პოლიტიკა აქვს დღეს ეროვნულ ბანკს?***

– პოლიტიკა ზუსტად ისეთია, როგორიც სახეზეა დღეს და იგი ხელს უწყობს ლარის გაუთავებელ ზევით-ქვევით თამაშს. საქმე ის არის, რომ ეს საკმაოდ კონტროლირებადი პროცესია და დღევანდელი გადასახედიდან ლარი არსად გაიქცევა ისე შორს, უბრალოდ, იგი დიდი ამპლიტუდით მერყეობს, რაც იძლევა გარკვეული ჯგუფებისთვის სერიოზული სარგებლის საშუალებას. რაც შეეხება ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას, ისინი ლარის ყოველ მოძრაობაზე სერიოზულ ფულს იხდიან და დანაკლისს განიცდიან.

***– საბანკო სექტორი ამ პროცესით ძალიან დიდ მოგებას ნახულობს?***

– ქართული საბანკო სექტორის მოგება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გაუგონრად მაღალია, მაშინ როცა ეკონომიკა სულს ღაფავს და ქვეყანა სიღარიბეშია.

***– არ შეიძლება ამ ყველაფრის კონტროლი?***

– ეს ელემენტარული რეგულირების საქმეა. ეროვნულ ბანკს კანონით ევალება ამის კეთება, მაგრამ ეროვნული ბანკის პოლიტიკა სწორედ აქეთკენაა მიმართული. ყველაფერი აგებულია საბანკო სექტორის და არა ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის.

ეს საბანკო სექტორი არის ქართული ეკონომიკის ყველაზე დიდი შემაფერხებელი, რომ არ ვისაუბროთ სხვა ფუნდამენტალურ პრობლემებზე. ეს უკვე მეოთხედი საუკუნეა, გრძელდება. ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა ეს მახინჯი სისტემა თავიდან ბოლომდე და ამ 25 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა ფაქტიურად მიზერული გახდა. ეს პროცესი გრძელდება, ამიტომ ვერანაირი განვითარება ეკონომიკისა ვერ იქნება, იგი მწირია და მწირი ტემპებით ვითარდება.

***– ამჟამად საუბარია 4%-იან ზრდაზე.***

– აბსოლუტურ მაჩვენებლებში შესაძლოა 4% კარგი მაჩვენებელი იყოს, მაგრამ გააჩნია, რა იზრდება 4%-ით. მიზერი, გაზრდილი 4%-ით, მაინც მიზერია!

***– საარსებო მინიმუმი სულ უფრო კლებულობს, სოციალური ფონი მძიმეა, მაშინ სადაა ეს კეთილდღეობა, მხოლოდ ამ ვიწრო ჯგუფებში?***

– დიახ, მცირდება და ვერც გაიზრდება! ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ცალკეულ ეპიზოდებზე, კარგია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ათი თავით უკეთესია, ვიდრე ის, რაც სააკაშვილის ხელისუფლება იყო. ეს სადავო არ არის და ამით ტრაბახი არაფრის მომცემია. მთავარია, პოლიტიკა შეიცვალოს, სისტემა შეიცვალოს, ჯერჯერობით კი ეს სისტემა არ იცვლება.

***– ანუ ხელისუფლების პოლიტიკა არის ასეთი, რომ გამდიდრდნენ ბანკები, ნახონ სერიოზული მოგება და მოსახლეობამ სიღარიბეში იცხოვროს?***

– დღევანდელი ხელისუფლება გარკვეულად ინერციით მოძრაობს. ქვეყანას სული სძვრებოდეს და ბანკები მსოფლიოში არნახულ შემოსავალს ნახულობდნენ, ასეთი რამ არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება და ვერც მოხდება. ამიტომ ეს საერთო შეხედულებათა სისტემის ბრალია და არა კონკრეტული ადამიანისა. უბრალოდ ის პოლიტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა ორი ათეული წლის განმავლობაში, პრინციპში, მცდარია.

***– ამ სისტემის შეცვლა არ სურს არც ამ ხელისუფლებას?***

– ჯერჯერობით რადიკალური ცვლილებები ამ ეტაპზე არ არის.

***– და არავინ ფიქრობს ამ პრობლემების მოგვარებაზე?***

– ის, რომ ეს ხელისუფლება ჯობია წინა ხელისუფლებას, ეს პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არ არის! ეს არის თავიდან ბოლომდე არასწორი პოლიტიკის შედეგი. შეუძლებელია, ნორმალური პოლიტიკის შემთხვევაში ლარი ასე თამაშობდეს. ამას საფუძვლად უდევს ძალიან სერიოზული პრობლემა. ქართული ფული ძალიან ცოტაა, იგი მხოლოდ 13%-ით ფარავს ისედაც მცირე ეკონომიკას. დანარჩენი დოლარით და სხვა ვალუტითაა შევსებული. ამიტომ სანამ ფუნდამენტალური, მაკროეკონომიკური პოლიტიკა არ მოგვარდება, მანამდე ქართული ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი, არა მგონია, რეალური იყოს.

***– ბანკების ინტერესშია, რომ ლარი ასეთი მერყევი იყოს?***

– ეს არის გარკვეული ჯგუფების ინტერესში! ძალიან ვიწრო ჯგუფების.

***– ვინ არის ეს ვიწრო ჯგუფი? ხელისუფლებაში მოკალათებული პირები?***

– ეს არის ის, ვინც ყველაზე დიდ ხეირს ნახულობს ამ საქმეში!

# 2018 წლის 1-ელ იანვრამდე მილიონზე მეტი ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირება ვერ განხორციელდება“

ტექდათვალიერება არის ნომერ პირველი საკითხი საზოგადოებისთვის, რომელიც დღის წესრიგში დგას ტრანსპორტის და საგზაო უსაფრთხოების სფეროში, თუმცა ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ეს ხელისუფლებისთვისაც ნომერ პირველი თემაა.

ამის შესახებ „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარემ ეკა ლალიაშვილმა განაცხადა.

მისივე განცხადებით, ეკონომიკის სამინისტროსგან, რომელიც ტექდათვალიერებას კურირებს, არავითარი ინფორმაცია არ გაიცემა, თუ რას გეგმავს ხელისუფლება ამ მიმართულებით.

ლალიაშვილის თქმით, 2018 წლის 1-ელ იანვრამდე მილიონზე მეტი ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირება ვერ განხორციელდება იქიდან გამომდინარე, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს.

– ტექდათვალიერება აქტუალური საკითხია იქიდან გამომდინარე, რომ საგზაო შემთხვევებისას ყველაზე მაღალ რისკ ჯგუფში არიან ძველ ავტომობილებში მსხდომი მძღოლი და მგზავრები. გარდა ამისა, მეორე და უმნიშვნელოვანესი საკითხია გამონაბოლქვი და ჰაერის ხარისხი, რომელსაც ვსუნთქავთ, ამ მხრივ ძალიან მაღალი რისკის ქვეშ არიან ორსულები და ჩვილი ბავშვები.

მაშინ, როცა 1-ელ იანვარს არის დაანონსებული ტექნიკური ინსპექტირების ძალაში შესვლა, პრაქტიკულად მხოლოდ 3 თვე რჩება იმისთვის, რომ ამხელა პროცესი წარიმართოს. ჩვენ, სამწუხაროდ, არარეალისტურად გვეჩვენება 1-ელ იანვარს რეგულაციების ძალაში შესვლა, გამომდინარე იქიდან, რომ მილიონზე მეტ ავტომობილს აქვს ტექნიკური ინსპექტირება გასავლელი. დღეს მხოლოდ 34 ტესტირების ხაზი არსებობს, ხოლო მილიონზე მეტი ავტომობილის შემოწმებას მინიმუმ 100 ტესტირების ხაზი მაინც სჭირდება. ამ რეალობიდან გამომდინარე, გვაქვს შეკითხვები, როდის იქნება თუნდაც პირველი კონსულტაცია სამოქალაქო სექტორთან იმისთვის, რომ გავეცნოთ, რა სტანდარტებზეა საუბარი და რა გეგმები აქვს ხელისუფლებას ამ კუთხით, – განაცხადა ეკა ლალიაშვილმა.



მისივე განმარტებით, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში იკისრა ვალდებულება, რომ 2018 წლის 1-ელ სექტემბრამდე ყველა ავტომობილის ტექდათვალიერება განხორციელდებოდა, თუმცა ამ პერიოდში მოთავსებაც კი გარკვეული კითხვის ნიშნების ქვეშ არის.

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გვაქვს ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1-ელი სექტემბერი არის ბოლო ვადა. მაშინ, როცა საქართველო ცდილობს გახდეს ევროპის ოჯახის წევრი, არასასურველია მსგავსი საკითხის რისკის ქვეშ დაყენება.

2018 წლის სექტემბრამდე ერთი წელია და ჰაერის დაბინძურების პრობლემა კიდევ უფრო მოიმატებს. კვლევებით დადგინდა, რომ ჰაერში აზოტის დიოქსიდი ჭარბი რაოდენობითაა, რაც პირდაპირ კავშირშია სიმსივნური დაავადებების გაჩენასთან, – განაცხადა ეკა ლალიაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს ავტოპარკის 90% 10 წელს გადაცილებული ავტომობილებითაა წარმოდგენილი, რის განახლებასაც წლები და გარკვეული რეგულაციები სჭირდება.

**ბპნ**

# „საქართველოში ავტოპარკის 80% სადაზღვევო კომპანიებისთვის მომხიბვლელი არ არის“




საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაზღვეული ავტომანქანების რაოდენობა 12,3%-ით გაიზარდა. დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, თუ 2016 წლის მეორე კვარტალში ქვეყანაში დაზღვეული იყო 53.201 ავტომანქანა, 2017 წლის მეორე კვარტალში სადაზღვევო პოლისების რაოდენობა 59.763-მდე გაიზარდა.

მიუხედავად ზრდისა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანაში დაზღვეული ავტოპარკის მხოლოდ 4,8%-ია დაზღვეული. შედარებისთვის, Insurance Research Council-ის მონაცემებით, 2016 წელს ამერიკაში ავტოპარკის 87,4% პროცენტი იყო დაზღვეული. ჩვენი მაჩვენებელი კი საკმაოდ დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საავტომობილო დაზღვევის სისტემა განვითარებული ჯერ კიდევ არ არის.

სპეციალისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ დაზღვევის კულტურის ამაღლებისთვის საჭიროა სავალდებულო დაზღვევის შემოღება. მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ საქართველოში ავტოპარკის 80 პროცენტი სადაზღვევო კომპანიებისთვის მომხიბვლელი არ არის.

„ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის ვასო ურუშაძის განცხადებით, ქვეყანაში საავტომობილო დაზღვევის სისტემა რომ განვითარებული არ არის, შეიძლება რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული: ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ავტომობილების დაზღვევა სავალდებულო არ არის. მეორე მხრივ კი, პრობლემა შეიძლება უკავშირდებოდეს სადაზღვევო კომპანიებს და მათ მიდგომას ავტომფლობელებისადმი. ზოგჯერ სადაზღვევო სერვისები და ფასი ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს ავტოპარკი საკმაოდ მოძველებულია. რეგისტრირებული მანქანების 40%-ზე მეტი 20 წელზე უფრო ასაკოვანი, 95%-მდე კი 10 წელზე უფრო ასაკოვანია. ფაქტობრივად, ახალი ავტომობილების რაოდენობა ქვეყანაში არის ძალიან ცოტა“, – განუცხადა ურუშაძემ „კომერსანტს“.

მისივე თქმით, „ყველა ეს პრობლემა ერთობლიობაში ქმნის იმ დიდ პრობლემას, რომ ქვეყანაში ავტომობილების დაზღვევის კულტურა არ გვაქვს. ავტომფლობელების თითქმის 95% ავტომანქანას არ აზღვევს“. რაც შეეხება იმ მაჩვენებელს, რომ ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომანქანებიდან მხოლოდ 4,8%-ია დაზღვეული, ვასო ურუშაძის თქმით, საკმაოდ მცირეა. მისი ინფორმაციით, ძირითადად ამ რიცხვში ახალი ავტომობილები შედის.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელის დავით მესხიშვილის განცხადებით კი, საქართველოში ავტოპარკის 80 პროცენტი სადაზღვევო კომპანიებისთვის მომხიბვლელი არ არის. როგორც მესხიშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც განაახლებს საავტომობილო პარკს. მესხიშვილის განცხადებით, განახლებული ავტოპარკის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებში გაცილებით მარტივი იქნება.

ამასთან, მესხიშვილის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს ავტომანქანების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების ამოქმედება. ყველაფერი ეს სადაზღვევო კომპანიებში ავტომობილების დაზღვევას უფრო მიმზიდველს გახდის.

– დღეს სადაზღვევო კომპანიები არ ფიქრობენ და არც სურვილი აქვთ, რომ დააზღვიონ 20 წელზე უფრო ასაკოვანი ავტომობილები. ასეთი ავტომობილები წარმოადგენენ რისკს ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენის თვალსაზრისით. ეს რისკი მაღალია ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილის შემთხვევაში, – აცხადებს მესხიშვილი.

2017 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ გამოქვეყნებული არ აქვს. 2016 წლის მონაცემით კი ქვეყანაში სულ 1.126.470 ავტომანქანა იყო რეგისტრირებული. ამავე სტატისტიკით ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,3%-ს შეადგენს.

# ბანკებში არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა 5%-ით გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი სექტემბრისათვის 17.8 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 840.7 მლნ ლარით ანუ 5.0 პროცენტით მეტია პირველი აგვისტოსათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე 4.2 პროცენტით მეტი). აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 958.8 მლნ ლარით ანუ 10.3 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ეს მაჩვენებელი გაიზარდა 9.4 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა 118.1 მლნ ლარით, ანუ 1.5 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე შემცირდა 2.2 პროცენტით).

მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისათვის დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა 34.49 პროცენტი შეადგინა. პირველი აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, დეპოზიტების ლარიზაცია 0.26 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.6 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 8.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 3.1 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 84.3 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 13.0 პროცენტი შეადგინა.

## შარტავას №35-ში ნაპოვნი მამაკაცი ცოცხალი აღმოჩნდა



შარტავას №35-ში ნაპოვნი მამაკაცი ცოცხალი აღმოჩნდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მამაკაცი, რომელსაც ცეცხლსნასროლი ჭრილობა აღენიშნება, საავადმყოფოში აპარატზეა მიერთებული, რადგან ექიმებმა გარდაცვალება ვერ დააფიქსირეს. თუმცა მისი მდგომარეობა კრიტიკულია და რეანიმაციული ღონისძიებები უტარდება.

ამასთან თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბურთალოს რაიონში, შარტავას ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ის ძალოვანი უწყების თანამშრომელია და ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული. ამავე დროს „ინტერპრესნიუსს" შს სამინისტროში განუცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## ხმაური ჩხვირკია-ღოღობერიძის პროცესზე — ბრალდებული დარბაზიდან გააძევეს



მერაბ ღოღობერიძე მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გააძევა. ბრალდებულმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მას მატყუარა უწოდა. სხდომაზე ღოღობერიძეს ჯერ გაფრთხილება მისცეს, მოგვიანებით კი დარბაზი დაატოვებინეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, 11-12 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით პირველად დაიკითხა. ლაშა გოგნიაშვილის თქმით, მერაბ ღოღობერიძე მას ემუქრებოდა, თუ ხალხს გზის გადაკეტვაში ხელს შეუშლიდნენ, აგრესია მასზე წამოვიდოდა:

– პლაზას მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხის რაოდენობა იზრდებოდა. ჩემი თანამშრომლები გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებას ცდილობდნენ. ამის შემდეგ მოქალაქეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის სამმართველოს შენობასთან გადაინაცვლეს. მერაბ ღოღობერიძე შეკრებილებს მოუწოდებდა, შენობა შტურმით აეღოთ, შესულიყვნენ შენობაში და დაკავებული მოქალაქეები ძალის გამოყენებით გაეთავისუფლებინათ. მერაბი აგრესიულობით გამოირჩეოდა. მას ჩვენმა თანამშრომლებმა შენობაში შეჭრის საშუალება არ მისცეს, – განაცხადა სასამართლოზე გოგნიაშვილმა.

– ეს არის მატყუარა და, შესაბამისად, მატყუარა ადამიანებს კანონი გამოუტანს განაჩენს, – განაცხადა ღოღობერიძემ დარბაზიდან გაძევების დროს.

მოწმის ჩვენებაში არსებულ უზუსტობებს გაუსვა ხაზი ამავე საქმეზე ბრალდებულმა ირაკლი ჩხვირკიამაც:

– ყველა მანქანა დამწვარია 5-ის ნახევრამდე, უკანასკნელი მანქანა, რომელიც იწვის, ჩემი ინტერვიუს ფონზეა. როგორ ახსნით ამ ფაქტს, რომ შვიდივე მანქანის დაწვის შესახებ ინფორმაცია 5-ის ნახევრამდე არის შემოსული, იმ დრომდე, როდესაც თქვენ ამბობთ, რომ ჩემი მოწოდების შემდეგ დაიწვა. მე კი ინტერვიუ მაქვს მიცემული, დაახლოებით 5-ს რომ აკლდა 10 წუთი, – განაცხადა ირაკლი ჩხვირკიამ.

## სარფის საბაჟოზე დღეს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სარფის საბაჟოზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აღიძრა, რაც ძალადობას გულისხმობს.

დაგეგმილია შესაბამისი ექსპერტიზებიც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის" გადამღებ ჯგუფს თურქეთ-საქართველოს საზღვარზე თურქული მხარის წარმომადგენლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მებაჟეებმა ჟურნალისტს წაართვეს პასპორტი, მობილური ტელეფონი და აღარ უბრუნებდნენ.

## იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე შელაპარაკება მოხდა



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა მიმდინარეობს. საბჭოს წევრები დღის წესრიგით გათვალისწინებულ ხუთ საკითხს განიხილავენ.

მათ შორის არის თბილისის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი. აღნიშნული კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობას დროებით ბადრი შონია ასრულებს.

სხდომაზე საბჭოს წევრებს შორის ურთიერთშელაპარაკება მოყვა არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის კითხვას იმის შესახებ, თუ რა უფლებამოსილება აქვს გაერთიანებული კოლეგიის თავმჯდომარეს. ამ კითხვას საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ვასილ მშვენიერაძემ შეურაცხმყოფელი უწოდა. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი კანონში ნათლად არის გაწერილი და ამ კითხვაზე პასუხი თავად ჯანეზაშვილსაც აქვს.

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის პოზიციას, მან ამ საკითხის კიდევ ერთხელ გადადება მოითხოვა. მიზეზად კი კანდიდატებისთვის დამატებითი დროის მიცემა დაასახელა. ამ დროისთვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე ერთადერთ კანდიდატს – ბადრი შონიას ელოდებიან, ვინაიდან მასთან საბჭოს სხდომაზე გასაუბრება მოისურვეს.

შეგახსენებთ, რომ გაერთიანებული კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე საკითხი გასულ კვირას უნდა განხილულიყო, თუმცა საბჭოს რამდენიმე წევრმა, კანდიდატებისთვის დამატებითი დროის მიცემის მიზნით, საკითხის გადადება მოითხოვა.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ თანამდებობაზე ერთადერთი განაცხადი არსებობს, რომელიც ბადრი შონიას ეკუთვნის. ბადრი შონია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის გაერთიანებულ კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობას 24 ივლისიდან ასრულებს.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ საკითხს, რაზეც საბჭომ გუშინდელ სხდომაზე იმსჯელა, ესენია: ინფორმაცია უვადო გასამწესებელ მოსამართლეთა, კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის თაობაზე; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის წერილი დისტანციურად დაკითხვის მოდელის დანერგვის თაობაზე; „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" აღმასრულებელი დირექტორის წერილი; საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი – საერთო სასამართლოების სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესით დამტკიცების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

## ადვოკატი დავით ასათიანი „ადვოკატთა ასოციაციის" მომავალი თავმჯდომარის პოსტზე წარადგინეს



„საადვოკატო ბიუროთა და გაერთიანებამ" „ადვოკატთა დამოუკიდებელმა პროფკავშირმა" „ახალგაზრდა ადვოკატებმა" და ფართო კოალიციურმა ჯგუფმა, ზაზა ხატიაშვილის ხელმძღვანელობით, „ადვოკატთა ასოციაციის" მომავალი თავმჯდომარის პოსტზე ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების მდივანი, ადვოკატი დავით ასათიანი წარადგინეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას „ადვოკატთა ასოციაციის" მოქმედმა ხელმძღვანელმა ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, დავით ასათიანი არის სწორედ ის კანდიდატურა, რომელსაც აქვს „ადვოკატთა ასოციაციის" თავმჯდომარეობისთვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება, პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები.

დავით ასათიანის თქმით, მისი თავმჯდომარეობის შემთხვევაში ასოციაცია პოლიტიკურ ბრძოლაში არასოდეს იქნება გამოყენებული.

დავით ასათიანი ადვოკატად 1999 წლიდან საქმიანობს. ამჟამად ის არის „ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს წევრი და საერთაშორისო ურთიერთობების მდივანი, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წარმომადგენელი სახელმწიფო საკონსტიტუციო მისიაში და ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭოში.

2009-2013 წლებში ასათიანი იყო ორგანიზაცია „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" თავმჯდომარე, 2012-13 წლებში არასამთავრობოთა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარე.

„ადვოკატთა ასოციაციის" თავმჯდომარის არჩევნები 2017 წლის დეკემბერში გაიმართება. ასოციაციის თავმჯდომარეს, ასოციაციის წევრთაგან ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით აირჩევს. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.

## ქუთაისში სილამაზის სალონები გაძარცვეს



ქუთაისში, ფალიაშვილის 4 ნომერში მდებარე სილამაზის სალონები გაძარცვეს. ერთ-ერთი სალონიდან წაღებულია 500 ლარი.

გავრცელებული ინფორმაციით, მძარცველებმა სამი სალონი გატეხეს, თუმცა დანარჩენ ობიექტებში თანხა ვერ იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს; მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები.

## „იქ ჩემი არც ერთი თანამშრომელი არ იმყოფებოდა" — რას აცხადებს 26 მაისის საქმეზე დაკავებული ლევან ქარდავა



კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები მათ დაკავებას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებენ, ლევან ქარდავამ და ვასილ ლილუაშვილმა ამის შესახებ „26 მაისის საქმის" სასამართლო სხდომაზე ისაუბრეს.

საქმის არსებითი განხილვა საწყის ეტაპზეა, დღევანდელ სხდომაზე მხარეები შესავალი სიტყვით წარდგნენ. ბრალდების მხარის თქმით, ყოფილი მაღალჩინოსნების ბრძანებით 26 მაისის აქციის მონაწილეები უკანონოდ დააკავეს და მათზე ფიზიკური ზეწოლა განახორციელეს. პროკურატურა სხდომაზე 400-მდე მოწმის წარდგენას აპირებს.

ლევან ქარდავას თქმით, 2011 წლის 26 მაისის აქციაზე მომიტინგეების დარბევის ბრძანებას ის არ გასცემდა და კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია:

– პირველი – ჩემი, მე-2 სამმართველოს არც ერთი თანამშრომელი არ იმყოფებოდა ადგილზე, შესაბამისად მე სხვას ვერ მივცემდი მითითებას და ბრძანებას, რომ ვინმე ან დაეკავებინათ, ან ეცემათ. მეორე – არ არსებობს ამ 400 კაცში ისეთი ჩვენება, რომ ვინმე მიუთითებდეს ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვებზე, რომ მე ვინმეს ვავალებდი დაკავებას ან ცემას, – განაცხადა ლევან ქარდავამ.

2011 წლის 26 მაისის საქმეზე ბრალდებულად ცნობილი არიან კუდის ყოფილი დირექტორი დათა ახალაია, მისი მოადგილე ვასილ ლილუაშვილი, ამავე დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს უფროსი რევაზ შიუკაშვილი და მეორე სამმართველოს უფროსი ლევან ქარდავა.

## რუსთაველზე ოთხი ადამიანის დაჭრის ფაქტზე 3 პირი დააკავეს



თბილისში, რუსთაველის გამზირზე ოთხი ადამიანის დაჭრის ფაქტზე 3 პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ლ. დ., 1999 წელს დაბადებული გ. ა. და 1995 წელს დაბადებული თ. გ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ღამით, ურთიერთშელაპარაკებისას, მათთვის უცნობი ოთხი მოქალაქე ცივი იარაღით დაჭრეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაჭრილი პირები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა სხვადასხვა სტაციონარში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამივე ბრალდებული მომხდარიდან 5 წუთში, გრიბოედოვის ქუჩაზე დააკავეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით), – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ანგელა მერკელი კანცლერი ზედიზედ მეოთხედ გახდება




წლევანდელ არჩევნებს გერმანიაში ისტორიულს უწოდებენ. გერმანია, ისევე როგორც საფრანგეთი, ევროპის ლოკომოტივია. რუსეთ-დასავლეთს შორის ცივი ომის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საით წავა ევროპა. ბრექსიტის შემდეგ ევროკავშირი აშკარად შეირყა. კრემლიც შეეცადა, რღვევის პროცესები გაეძლიერებინა. კრემლის უმთავრესი მიზანი ხელისუფლებიდან ანგელა მერკელის ჩამოშორება იყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

არჩევნებში ანგელა მერკელის ბლოკმა (ხდს-ხსს) ხმების 33% მიიღო. მეორე ადგილზე სოციალ-დემოკრატები გავიდნენ (20%). თავისუფალმა დემოკრატებმა 10,5% მიიღეს, მწვანეებმა 9,5 %. აღსანიშნავია ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ალტერნატივა გერმანიისათვის“ წარმატება, რომელიც ევროზე უარის თქმას, აგრეთვე რუსეთისთვის სანქციების მოხსნას მოითხოვს. ამ ორგანიზაციამ ხმების 13% მიიღო და თავისი არსებობის ისტორიაში პირველად პარლამენტში მოხვდება.

თავად მერკელი არჩევნების შედეგების შეფასებაში თავშეკავებულია. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ წინა არჩევნებში მისმა პარტიამ ხმების 44% დააგროვა.

– ჩვენ მოველოდით, რომ ახლა მინიმუმ 39-40%-ს ავიღებდით. ასე რომ, ეიფორია უადგილოა, – ამბობს მერკელი.

ასეა თუ ისე, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ახალ მთავრობაში გადამწყვეტი ძალა იქნება. ვისთან შევა ეს ორგანიზაცია კოალიციაში? სოციალ-დემოკრატებმა უკვე გამოაცხადეს, რომ ოპოზიციაში გადადიან. სავარაუდოდ, მერკელის პარტნიორები მწვანეები ან თავისუფალი დემოკრატები იქნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ პარლამენტში დემოკრატიული ძალების დომინირება იქნება, გერმანული საზოგადოება ულტრამემარჯვენეთა წარმატებით შეშფოთებულია.

ბერლინის მთავარ მოედანზე უამრავი ხალხი შეიკრიბა. ისინი ორგანიზაცია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ ფაშისტურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ საზოგადოება მათ დემოკრატიულ ფასეულობების ხელყოფის საშუალებას არ მისცემს.

თავად მერკელმა კი ტელევიზიით განაცხადა, რომ ის ყველა გერმანელის კანცლერია და მიუხედავად გამარჯვებისა, ისეთი ორგანიზაციის შეხედულებებსაც გაითვალისწინებს, როგორიცაა „ალტერნატივა გერმანიისათვის“.

– სხვაგვარად დემოკრატია არ იარსებებს, – თქვა მერკელმა

საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა მერკელს წარმატება მიულოცა. მან აღნიშნა, რომ გერმანული არჩევნები ევროპის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას ხელს შეუწყობს და ევროპის ერთიანობასაც განამტკიცებს.

# სირიაში რუსი გენერალი მოკლეს



სირიაში რუსი გენერალი ვალერი ასაპოვი დაიღუპა. ის ასადის არმიის მთავარი მრჩეველი გახლდათ. ასაპოვი დეირ-ეზ-ზორთან ბრძოლებს ხელმძღვანელობდა.

„ეხო მოსკვის“ ცნობით, ასაპოვთან ერთად რუსეთის არმიის ორი პოლკოვნიკიც სახელდება. რადიოსადგური იტყობინება, რომ ყველა მათგანი ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში დაიღუპა.



# ვაშინგტონი: თეთრ სახლთან შეიარაღებული მამაკაცი დააკავეს

ვაშინგტონში პოლიციამ თეთრ სახლთან შეიარაღებული მამაკაცი დააკავა. მას მანქანაში იარაღის მთელი არსენალი აღმოაჩნდა: ორი ავტომატი, ერთი პისტოლეტი, დანა, აგრეთვე ტყვიების სოლიდური მარაგი. შეკითხვაზე, აქ რას აკეთებთო, მიუგო:

– აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ნახვა მსურდა.

ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ მამაკაცი შერაცხადად ცნო. ამის შემდეგ ის პოლიციას გადასცეს.

# თურქეთში ბელორუსი ტურისტი მოკლეს



თურქეთში, მარმარისში ბელორუსი ტურისტი მოკლეს. ის მეუღლესთან ერთად ბარში შევიდა და სპირტიანი სასმელი მოითხოვა. ოფიციანტმა მიუგო, ვერ მოგემსახურები, რადგან ბარი დაკეტილიაო. პასუხად ბელორუსმა ფულის ბღუჯა ამოიღო და სახეში შეაყარა.

– არც ახლა მომემსახურები?

ოფიციანტმა სილა გაარტყა. ბელორუსმა რევოლვერი იძრო. თურქმა მაგიდაზე დადებულ დანას ხელი წამოავლო და მუცელში გაუყარა. ბელორუსი გარდაიცვალა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი



# ევროპის ყველაზე ბედნიერი ქალაქები დასახელდა

ანალიტიკური სააგენტო ევროსტატის ექსპერტებმა გამოავლინეს ევროპის ქალაქები ყველაზე ბედნიერი მცხოვრებლებით. როგორც გაირკვა, ყველაზე კმაყოფილი მოქალაქეები ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ცხოვრობენ.

რეიტინგის შედგენა რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით ხდებოდა. მაგალითად, იმ მოქალაქეთა რაოდენობით, რომლებიც საზოგადოებრივი ადგილების მოწყობით არიან კმაყოფილები, პირველობს ავსტრიის დედაქალაქი ვენა, ხოლო ეკოლოგიის მხრივ – ლუქსემბურგი. ჯანმრთელობის დაცვის სისტემით ყველაზე მეტად კმაყოფილები ამსტერდამელები არიან, ხოლო განათლებით – დუბლინელები.

სექტემბრის დასაწყისში ბრიტანულმა კომპანია ზიპჯეტმა მსოფლიოს ყველაზე მშვიდი ქალაქების რეიტინგი შეადგინა, რომლის პირველ ათეულში ერთბაშად რამდენიმე გერმანული ქალაქი შევიდა.

კვლევის შედეგად იმ ქალაქების სიაში, რომლის მცხოვრებლები სრულიად მშვიდად გრძნობენ თავს, პირველი ადგილი გერმანულმა ქალაქმა შტუტგარტმა დაიკავა. ამ რეიტინგში მესამე ადგილი კიდევ ერთ გერმანულ ქალაქ ჰანოვერს ერგო, მიუნხენი – მეხუთე, ხოლო ჰამბურგი – მეათე ადგილზე გავიდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## შევისყიდით წიგნებს!

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.
- გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებს კლასი და გამოცდილება არ ეყო



თბილისში დასრულდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირი ქალ ფრენბურთელთა შორის. ევროპირველობას საქართველო მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად მასპინძლობდა. ერთი ჯგუფის თამაში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიმართა, ხოლო 3 ჯგუფსა და პლეიოფის მატჩებს აზერბაიჯანის ქალაქები, განჯა და ბაქო უმასპინძლებენ.

თბილისში თავი ბ ჯგუფში მოასპარეზე გუნდებმა მოიყარეს – საქართველო, იტალია, ხორვატია, ბელარუსი.

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩი დათმო და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან გუნდის ძირითად ბირთვს 19 წლამდე ნაკრების გოგონები წარმოადგენდნენ, რადგან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სპორტის ეს ლამაზი სახეობა ბოლო წლებში ნელ-ნელა იბრუნებს პოზიციებს.

პირველი მატჩში იტალიელებთან უშანსოდ ვიყავით – ჯგუფის უდავო ფავორიტთან 0:3 წავაგეთ.

შემდეგ იყო გადამწყვეტი შეხვედრა ხორვატიასთან. საწყისი 2 სეტი ჩვენებმა უშანსოდ წააგეს – 12:25, 13:25. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ქართველმა გოგონებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და მესამე სეტი 25:23 მოიგეს. ძალიან დაძაბული გამოდგა მე-4 სეტი. იყო მომენტი, როდესაც ხორვატია 20:15 დაწინაურდა, სწორედ აქ აიღეს ქართველებმა ზედიზედ 6 ქულა და უკვე თავად გავიდნენ წინ, მაგრამ მეტისთვის გამოცდილება და კლასი აღარ ეყოთ და 23:25 დამარცხდნენ.

ბოლო სათამაშო დღეს კი მასპინძლები ბელარუსსაც ვერ გაუმკლავდნენ – 0:3 (8:25, 11:25, 12:25).

ჯგუფში პირველი ადგილი სამივე თამაშის მომგებმა იტალიამ დაიკავა, ბელარუსებმა და ხორვატებმა თანაბარი, 5-5 ქულა დააგროვეს და უკეთესი მაჩვენებლით მე-2 ადგილზე ბელარუსები გავიდნენ.

# ტორპედო მარცხს ბოლო წამზე გადაურჩა



**ტორპედო-დინამო (თბ) 1:1**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია

0:1 თოთაძე (62), 1:1 კუჭუხიძე (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, კუხიანიძე (ბაბუნაშვილი 76), გ.გურული, კუტალია, დოლიძე, ქიმაძე, გიგაური (ფალავანდიშვილი 66), ტუღუში (ბერიაშვილი 66), კუჭუხიძე

**დინამო:** რევიშვილი, თოთაძე, გეგეჭკორი, ქარდავა, ზარია, კიტეიშვილი (ქოჩლაძე 90), მიქელთაძე, შულაია, სალუქვაძე, კობოური, კუცია (მიშენკო 46)

ეროვნული ლიგის ყველაზე პრინციპულ დაპირისპირებას ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონმა უმასპინძლა. ადგილობრივი ტორპედოსა და თბილისის დინამოს შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

მთელი მატჩის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას ქუთაისელები ფლობდნენ, დინამოელები კი, ძირითადად კონტრშეტევებზე ცდილობდნენ საკუთარი თამაშის აგებას და ამ სტრატეგიამ გაამართლა. რომ არა ბოლო წამზე დაშვებული შეცდომა, დინამო დედაქალაქში 3 ქულით და ფაქტობრივად, ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდებოდა.

ტორპედო პირველ ტაიმში მეტნაკლებად გააზრებულად უტევდა. კუხიანიძესა და გიგაურს რევიშვილმა აუღო, გურულმა კარს ააცილა. ორჯერ კი დინამოელთა მეკარის არცთუ დამაჯერებელი თამაშის შემდეგ, დინამო გადარჩა. რევიშვილი ჯერ საჯარიმოს გარეთ გამოვიდა ბრძოლაში, რის შემდეგ ბურთი კუჭუხიძეს მიუვიდა და მისი დარტყმული ცარიელი კარიდან თოთაძემ გამოიტანა. შემდეგ რევიშვილმა გამოსვლაზე ბურთი კი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ ტაბატაძის ფეხზე, რომლის დარტყმული საჯარიმოში კუტალიას მიუვიდა, რომელმაც ცარიელ კარში კი დაარტყა, მაგრამ უკვე სალუქვაძე გადაეღობა.

28-ე წუთზე ოთარ კიტეიშვილმა ითამაშა კარგად, ცრუ მოძრაობით საჯარიმოში შეიჭრა და ჩააწოდა, ბურთს ბოლო წამს გიორგი კუცია ვერ მისწვდა. ტაიმის ბოლოსკენ ოთარ კიტეიშვილი გაიჭრა ქუთაისელთა კარისკენ და საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერადაც დაარტყა, ბურთი ოდნავ აცდა მასპინძელთა კარს.

მეორე ტაიმში კახა კაჭარავამ დაცვა კიდევ უფრო გააძლიერა, მაგრამ კონტრშეტევებს არ ერიდებოდა, რომელთა ნაწილი მხოლოდ კარში შორიდან არაზუსტი დარტყმებით სრულდებოდა.

62-ე წუთზე ქიმაძემ შეტევაში მყოფი კიტეიშვილი აკრძალული ხერხით შეაჩერა და მსაჯისგან ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. საჯარიმო დარტყმა ლაშა თოთაძემ ძლიერად და უზადოდ შეასრულა 0:1.

ბურთს ისევ ტორპედო ფლობდა, მაგრამ უფანტაზიოდ უტევდა და თითქოს მხოლოდ იმის იმედად იყო, რომ მსაჯი პენალტს დაუნიშნავდა. არადა, მსაჯს მხოლოდ ყვითელი ბარათი დასტყუეს სიმულიაციისთვის.

მსაჯის მიერ კომპენსირებული მე-4 წუთი მიდიოდა, როდესაც კუტალიამ საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი, იქ მატჩის გმირად გახდომის პრეტენდენტ თოთაძეს კუჭუხიძე გაეპარა, ანგარიში გაათანაბრა – 1:1 და მატჩიც დასრულდა.

ამ გოლმა საჩემპიონო ბრძოლას ინტრიგა კი შეუნარჩუნა, მაგრამ დინამო მაინც სოლიდური ფორით ხვდება მე-4 წრეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 27 | 18 | 4 | 5 | 65-23 | 58 |
| 2.ტორპედო | 27 | 15 | 7 | 5 | 40-21 | 52 |
| 3.სამტრედია | 27 | 15 | 6 | 6 | 42-28 | 51 |
| 4.ლოკომოტივი | 27 | 14 | 3 | 10 | 50-35 | 45 |
| 5.საბურთალო | 27 | 13 | 4 | 10 | 44-31 | 43 |
| 6.ჩიხურა | 27 | 12 | 4 | 11 | 34-43 | 40 |
| 7.დილა | 27 | 8 | 7 | 12 | 33-40 | 31 |
| 8.დინამო (ბთ) | 27 | 9 | 2 | 16 | 24-42 | 29 |
| 9.კოლხეთი | 27 | 4 | 7 | 16 | 23-50 | 19 |
| 10.შუქურა | 27 | 2 | 6 | 19 | 25-67 | 12 |

# შენგელიამ ტრავმა სეზონის დაწყებამდე მიიღო



დასრულდა სანაკრებო ევროსეზონი და კალათბურთელები უკვე თავიანთ კლუბებში ჩაებნენ სათამაშოდ.

სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ესპანური ბასკონიას ერთ-ერთმა ლიდერმა, თორნიკე შენგელიამ ტრავმა მიიღო. ბასკური გუნდის სეზონისთვის მოსამზადებელ პირველ მატჩში, რომელიც ებრაულ ჰაპოელთან გამართა, ქართველმა ფორვარდმა ფეხი ამოიბრუნა და თამაში ვეღარ გააგრძელა.

შენგელიას ტრავმა მძიმე არაა და როგორც ესპანური კლუბის წევრები იმედოვნებენ, ქართველი ფორვარდი, რომელმაც ცოტა ხნის წინ კლუბის კაპიტნის წოდება მიიღო, მოედანს 2 კვირაში დაუბრუნდება.

ჰაპოელთან მატჩში შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და სანამ ფეხს იტკენდა, მოედანზე 10 წუთი გაატარა. თორნიკემ 4-დან 2 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო და 6 ქულას 2 მოხსნა და 1 პასი წაამატა.

ბასკონიას ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი 29 სექტემბერს ელის, როდესაც სტუმრად ბარსელონას გაეჯიბრება.

თუ ბასკონიას მოსამზადებელი ეტაპი ჰქონდა, შედგა გიორგი შერმადინის დებიუტი ესპანურ უნიკახაში, რომელიც ქვეყნის სუპერთასზე ასპარეზობდა. ქალაქ მალაგის გუნდში ქართველმა ცენტრმა ნახევარფინალში, ვალენსიას წინააღმდეგ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 17 წუთში 3 ქულასთან ერთად 5 მოხსნა მიითვალა.

შერმადინის გუნდი დაძაბულ ბრძოლაში – 78:83 დამარცხდა და ესპანეთის სუპერთასის ფინალში ვერ გავიდა. შერმადინმა 2-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

მანუჩარ მარკოიშვილმა კარგად დაიწყო ახალ გუნდში – რეჯიო ემილიაში. სეზონისთვის მოსამზადებელ მატჩში ქართველმა ლეგიონერმა პირველად მოირგო ახალი კლუბის მაისური და დებიუტი 16 ქულით აღნიშნა.

რეჯიო ემილია ვანოლი კრემონას შეხვდა და 87:70 მოუგო. მარკოიშვილი შედეგიანობით მხოლოდ იტალიის ნაკრების წევრ ამედეო დელა ვალეს (21 ქულა) ჩამორჩა.

რეჯიო ემილია სერია ა-ს პირველ ტურში 2 ოქტომბერს აველინოს ესტუმრება.

ახალ კლუბში დებიუტი ჰქონდა საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელ უკანახაზელ მაიკლ დიქსონს. მაიკლი ბერძნული აეკიდან ფრანგულ სტრასბურში გადაბარგდა და საფრანგეთის უმაღლესი ლიგის პირველ ტურშიც ითამაშა.

დიქსონის დებიუტი ჩინებული კი გამოვიდა, მაგრამ ამან მის კლუბს ვერ უშველა.. სტრასბური სტუმრად ეთამაშა ანტიბს და უშანსოდ, 57:79 დამარცხდა.

დიქსონი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და გუნდში საუკეთესო იყო – 27 წუთში 18 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. მაიკლმა 9-დან 6 ორქულიანი, 7-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო ტურში სტრასბური კვლავ სტუმრად, ამჯერად ლევალუასთან ითამაშებს.

## შედეგები

**24 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ნიუკასლი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 5 | 1 | 0 | 21-2 | 16 |
| 2.მანჩესტერი | 6 | 5 | 1 | 0 | 17-2 | 16 |
| 3.ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| 4.ტოტენჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-5 | 11 |
| 5.ლივერპული | 6 | 3 | 2 | 1 | 12-11 | 11 |
| 6.უოტფორდი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-10 | 11 |
| 7.ჰადერსფილდი | 6 | 2 | 3 | 1 | 5-3 | 9 |
| 8.ბარნლი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 9.ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | 6-5 | 9 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 11.საუთჰემპტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-5 | 8 |
| 12.არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 13.ბრაიტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |
| 14.ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-11 | 7 |
| 15.სუონსი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 16.სტოკი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 17.ლესტერი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-12 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 19.ბორნმუთი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-11 | 3 |
| 20.კრ.პალასი | 6 | 0 | 0 | 6 | 0-13 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

უენსდი-შეფილდი ........ 2:4

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-დეპორტივო ........ 4:1

ხეტაფე-ვილიარეალი ........ 4:0

ეიბარი-სელტა ........ 0:4

ლას პალმასი-ლეგანესი ........ 0:2

სოსიედადი-ვალენსია ........ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 20-2 | 18 |
| 2.ატლეტიკო | 6 | 4 | 2 | 0 | 12-4 | 14 |
| 3.სევილია | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| 4.ვალენსია | 6 | 3 | 3 | 0 | 12-5 | 12 |
| 5.რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 6.ლეგანესი | 6 | 3 | 1 | 2 | 5-3 | 10 |
| 7.ლევანტე | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 8.სოსიედადი | 6 | 3 | 0 | 3 | 13-13 | 9 |
| 9.ბეტისი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-7 | 9 |
| 10.ხეტაფე | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| 11.ბილბაო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 12.ესპანიოლი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-9 | 8 |
| 13.სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 10-8 | 7 |
| 14.ვილიარეალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 15.ლას პალმასი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-10 | 6 |
| 16.ეიბარი | 6 | 2 | 0 | 4 | 3-14 | 6 |
| 17.ხირონა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 18.დეპორტივო | 6 | 1 | 1 | 4 | 7-15 | 4 |
| 19.მალაგა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |
| 20.ალავესი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ვალიდოლიდი ........ 1:0

რაიო-ლეონესა ........ 3:1

ალბასეტე-ოვიედო ........ 2:1

კადისი-ნუმანსია ........ 0:0

სარაგოსა-ხიმნასტიკი ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-კიოლნი ........ 0:0

ლევერკუზენი-ჰამბურგი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 6 | 5 | 1 | 0 | 19-1 | 16 |
| 2.ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 3.ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-5 | 13 |
| 4.ჰანოვერი | 6 | 3 | 3 | 0 | 6-2 | 12 |
| 5.აუგსბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-4 | 11 |
| 6.ლაიპციგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 7.შალკე | 6 | 3 | 0 | 3 | 7-8 | 9 |
| 8.ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 9.გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| 10.ლევერკუზენი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-10 | 7 |
| 11.აინტრახტი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 7 |
| 12.შტუტგარტი | 6 | 2 | 1 | 3 | 3-7 | 7 |
| 13.ვოლფსბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 14.მაინცი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-10 | 6 |
| 15.ჰამბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-11 | 6 |
| 16.ფრაიბურგი | 6 | 0 | 4 | 2 | 2-9 | 4 |
| 17.ვერდერი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-7 | 3 |
| 18.კიოლნი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-13 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ინგოლშტადი ........ 2:0

ფიურტი-ნირნბერგი ........ 1:3

დარმშტადი-დინამო ........ 3:3

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-მილანი ........ 2:0

კალიარი-კიევო ........ 0:2

კროტონე-ბენევენტო ........ 2:0

ვერონა-ლაციო ........ 0:3

ინტერი-ჯენოა ........ 1:0

სასუოლო-ბოლონია ........ 0:1

ფიორენტინა-ატალანტა ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 6 | 6 | 0 | 0 | 22-5 | 18 |
| 2.იუვენტუსი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-3 | 18 |
| 3.ინტერი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-2 | 16 |
| 4.ლაციო | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| 5.რომა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| 6.მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 12 |
| 7.სამპდორია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 8.ტორინო | 6 | 3 | 2 | 1 | 10-9 | 11 |
| 9.ატალანტა | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8 |
| 10.კიევო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 11.ბოლონია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| 12.ფიორენტინა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 7 |
| 13.კალიარი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 6 |
| 14.სპალი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| 15.სასუოლო | 6 | 1 | 1 | 4 | 3-9 | 4 |
| 16.კროტონე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 4 |
| 17.უდინეზე | 6 | 1 | 0 | 5 | 8-13 | 3 |
| 18.ჯენოა | 6 | 0 | 2 | 4 | 5-10 | 2 |
| 19.ვერონა | 6 | 0 | 2 | 4 | 1-14 | 2 |
| 20.ბენევენტო | 6 | 0 | 0 | 6 | 1-16 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-ასკოლი ........ 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტ.ეტიენი-რენი ........ 2:2

სტრასბური-ნანტი ........ 1:2

მარსელი-ტულუზა ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 7 | 6 | 1 | 0 | 21-3 | 19 |
| 2.მონაკო | 7 | 6 | 0 | 1 | 21-8 | 18 |
| 3.ბორდო | 7 | 4 | 3 | 0 | 13-7 | 15 |
| 4.სტ.ეტიენი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-6 | 14 |
| 5.მარსელი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-10 | 13 |
| 6.ნანტი | 7 | 4 | 1 | 2 | 5-5 | 13 |
| 7.ლიონი | 7 | 3 | 3 | 1 | 14-10 | 12 |
| 8.კაენი | 7 | 4 | 0 | 3 | 6-4 | 12 |
| 9.ნიცა | 7 | 3 | 1 | 3 | 10-8 | 10 |
| 10.გენგამი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-11 | 9 |
| 11.ანჟე | 7 | 1 | 5 | 1 | 9-8 | 8 |
| 12.მონპელიე | 7 | 2 | 2 | 3 | 4-5 | 8 |
| 13.ტრუა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 14.ტულუზა | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 15.რენი | 7 | 1 | 3 | 3 | 11-12 | 6 |
| 16.ამიენი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-10 | 6 |
| 17.დიჟონი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-16 | 5 |
| 18.ლილი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 19.სტრასბური | 7 | 1 | 1 | 5 | 5-13 | 4 |
| 20.მეცი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-13 | 3 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

უტრეხტი-პსვ ........ 1:7

აიაქსი-ვიტესი ........ 1:2

*ვიტესის პირველი გოლი გურამ კაშიამ გაიტანა*

ვენლო-ზვოლე ........ 1:1

გრონინგენი-ტვენტე ........ 1:0

ალკმაარი-ექსელსიორი ........ 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-მარიტიმუ ........ 2:1

ფეირენშე-ბელენენსეში ........ 1:4

ტონდელა-ბრაგა ........ 1:2

ავიში-რიუ ავე ........ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ტოსნო ........ 3:1

*ურალის პირველი გოლი გიორგი ჭანტურიამ გაიტანა*

როსტოვი-ლოკომოტივი ........ 0:1

უფა-არსენალი ........ 1:0

კრასნოდარი-ზენიტი ........ 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-გრასჰოპერსი ........ 0:3

სტ.გალენი-თუნი ........ 3:0

სიონი-იანგ ბოიზი ........ 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-აბერდინი ........ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-აუსტრია ........ 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-ვარეგემი ........ 0:1

შარლერუა-ბრიუგე ........ 1:2

სტანდარდი-ლოკორენი ........ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-იანინა ........ 1:0

კეერკირა-ლევადიაკოსი ........ 1:1

პანიონიოსი-ლარისა ........ 4:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-მალათია ........ 2:4

სივასი-გიოზთეფე ........ 2:3

ქაშიმფაშა-ქაისერი ........ 1:1

ბურსა-გალათასარაი ........ 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

იიჰლავა-ბანიკი ........ 2:1

კარვინა-ბრნო ........ 2:1

სპარტა-ტეპლიცე ........ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-სანდეცია ........ 1:0

იაგელონია-ლეგია ........ 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სტალი-ოლიმპიკი ........ 1:1

მარიუპოლი-ოლექსანდრია ........ 1:1

ვორსკლა-ზორია ........ 1:1

კარპატი-ჩერნომორეცი ........ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ლუნგბიუ ........ 3:1

ოდენსე-რანდერსი ........ 3:1

ჰობრო-ბრონდბიუ ........ 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ესტერსტუნდი ........ 2:1

დიურგარდენი-ჰამარბი ........ 1:1

იონჩოპინგი-სუნდსვალდი ........ 2:2

ჰაკენი-აიკი ........ 1:6

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნი-სტაბეკი ........ 1:0

ლილესტრიომი-რუსენბორგი ........ 0:3

მიოლდე-სანდერფიორდი ........ 3:1

ალესუნდი-სონგდალი ........ 0:1

სტრომგოდსეტი-ტრომსო ........ 2:1

ვალერენგა-ბრანი ........ 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კემი-ვაასა ........ 1:1

კუუპიო-ჰიფკი ........ 3:2

ლახტი-როვანიემი ........ 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ინდოეთში ახალშობილი დაიღუპა, რომელსაც „უცხო“ შეარქვეს



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ორი დღის დაბადებული ახალშობილი დაიღუპა, რომელსაც ადგილობრივებმა რიდლი სკოტის ფილმის უცხოპლანეტელ არსებებთან მსგავსების გამო „უცხო“ დაარქვეს.

ბავშვს არ ჩამოუყალიბდა სახე, დაიბადა უცხვიროდ, უყუროდ და გადმოკარკლული თვალებით. დედის თქმით, პატარა თავს კარგად გრძნობდა, არ ტიროდა, მაგრამ დაიძინა და მეორე დღეს აღარ გაუღვიძია. მისი ექიმებისთვის ჩვენებაც კი ვერ მოასწრეს.

ბავშვის მამის თქმით, მისი დაბადების ირგვლივ გავრცელებული ხმების შემდეგ, მათი სახლი ფაქტიურად მეზობლების ალყაში მოექცა, რომლებსაც ბავშვისთვის თვალის შევლება სურდათ.

## გერმანელებმა მრავალფეროვანი ვირტუალური ქაღალდი შექმნეს



საათებისა და საწერი მოწყობილობების გერმანელმა მწარმოებელმა Montblanc-მა წარმოადგინა რამდენიმე ფერის ვირტუალური ქაღალდი და ასევე მისი აქსესუარები. ამის თაობაზე კომპანიის წარმომადგენელი ერთ-ერთ გამოცემას ესაუბრა.

– აქსესუარები ახალ ფერებში გამოშვებულია ახალი სასწავლო წლის დაწყებისა და შვებულებებიდან დაბრუნების დროისთვის. ისინი მუშაობას დახვეწილობას და სტილს შემატებენ. ელეგანტური ჩანთა უბის წიგნაკისთვის და სპეციალური საწერკალამი სტარუოლკერი დამზადებულია სარტორელის შავი, მუქი ლურჯი ან წითელი ფერის ტყავისგან, – განაცხადა გერმანელი ფირის წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომMontblanc-ს კაფსულური კოლექცია შესრულებულია ლურჯ, ცისფერ, ვარდისფერ და ნარინჯისფერ ფერებში.

ვირტუალური ქაღალდი არის მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა, ხელით დაწერილი ტექსტი სმარტფონში იქნას გადატანილი.

## ბრიტანეთის ყველაზე სასტიკმა პატიმარმა ტომ ჰარდის სთხოვა, რომ მისი შვილის მამა გახდეს

ჩარლზ ბრონსონმა, რომელიც ცნობილია, როგორც დიდი ბრიტანეთის ყველაზე სასტიკი პატიმარი, ფილმში „ბრონსონი“ მისი როლის განმასახიერებელ მსახიობ ტომ ჰარდის სთხოვა, რომ მისი შვილის მამა გახდეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

დამნაშავემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 40 წლის მსახიობი შესანიშნავი „სუროგატი მამიკო“ იქნება. ეს ყოველივე ცნობილი გახდა წერილიდან, რომელიც ბრონსონმა ციხიდან თავის მეგობარს გაუგზავნა. მან აღნიშნა, რომ თავის საცოლე, მსახიობ პაულა უილიამსთან შვილის გაჩენა არ შეუძლია და ამიტომ ალტერნატიულ ვარიანტებს ეძებს.

ბრონსონმა წერილის ადრესატს სთხოვა, დაუკავშირდეს ჰარდის და შეიტყოს, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება მის ასეთ წინადადებაზე.



– ვფიქრობ, პაულა წინააღმდეგი არ იქნება. მე მასთან ამის თაობაზე ვიმსჯელებ, – აღნიშნა მან.

ბრონსონის თქმით, თუ ჰარდი უარს იტყვის, მაშინ ის დახმარებისთვის მსახიობ დენი დაიერს მიმართავს.

ჩარლზ ბრონსონი (დაბადების სახელი – მაიკლ გორდონ პიტერსონი), 64 წლის ბრიტანელია, რომელსაც 30 წელი 120 სხვადასხვა გამოსასწორებელ დაწესებულებაში აქვს გატარებული. 1974 წლიდან 1998 წლის ჩათვლით მას ისეთი დანაშაულობები აქვს ჩადენილი, როგორიცაა შეიარაღებული ძარცვა, წინასწარგანზრახვით სხეულის დაზიანება, წინასწარგანზრახვით ზარალის მიყენება, სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენება, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, შანტაჟი და მოკვლის მუქარა. 1999 წელს მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა იმის გამო, რომ მძევლად აიყვანა ციხის მხატვრობის მასწავლებელი.

დამნაშავე კონსულტაციას უწევდა ჰარდის, როდესაც ის 2008 წელს ფილმში „ბრონსონი“ მისი როლის შესრულებისთვის ემზადებოდა.

## ჰიტლერის უბის წიგნაკი აუქციონზე გაიყიდა




დიდ ბრიტანეთში აუქციონზე 33 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა სავარაუდოდ ადოლფ ჰიტლერის კუთვნილი უბის წიგნაკი, რომელშიც მისამართები და ტელეფონის ნომრები იყო ჩაწერილი.

უბის წიგნაკში ხელით იყო ჩაწერილი 200-ზე მეტი ტელეფონის ნომერი, რომელთა შორისაა მესამე რეიხის მაღალი თანამდებობის პირების – ჰიმლერის, გებელსის, ჰესის, გერინგის, რიბენტროპის, ჰეიდრიხის, ბორმანის და სხვათა ტელეფონის ნომრები.

წიგნში ასევეა ჰიტლერის პირადი არქიტექტორის ალბერტ შპეერის და ფოტოგრაფ ჰენრიხ გოფმანის ტელეფონის ნომრები, რომელმაც ჰიტლერს მისი მომავალი მეუღლე ევა ბრაუნი გააცნო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ამერიკულმა ფირმამ გადახრილციფერბლატიანი საათები გამოუშვა



ამერიკულმა საათების ბრენდმა RGM-მ წარმოადგინა ახალი მექანიკური Model 222-RR საათი.

დიზაინერებისთვის ასეთი საათის შექმნის წამახალისებელი გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისის რკინიგზის მატარებლების მემანქანეების საათები. საათის ციფერბლატი 45 გრადუსითაა შეტრიალებული (ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ მემანქანეს საჭისთვის ხელის მოუშორებლად შეძლებოდა დროის გაგება); ციფრები შესრულებულია მსხვილი ადვილად კითხვადი გროტესკული შრიფტით.

პირველად ასეთი წარწერა „ვაგონის ციფერბლატი“ ამერიკულმა ფირმა ბელმა 1925 წელს გამოშვებულ საათებზე გამოიყენა, რომელიც რკინიგზის ტრანსპორტის თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი.

აღნიშნული საათი ბრენდის 25 წლისთავის აღსანიშნავად დამზადდა, რომელიც საათების ოსტატმა როლანდ მერფიმ დააარსა. 921 კალიბრის Model 222-RR-ს ფასი 5900 დოლარია, ხოლო 923 კალიბრის Model 222-RR-ს ფასი – 7900 დოლარია.

## ჯასტინ ტრუდო შეხვედრაზე ჩუბაკას წინდებით მივიდა



კანადის პრემიერ-მინისტრი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთაურ კრისტინ ლაგარდთან ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე მივიდა გამოწყობილი წინდებში, რომელზეც „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟი ჩუბაკა იყო გამოსახული.

ეს აქსესუარი კანადის პრემიერმა კრისტინ ლაგარდთან და ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ მარკ რიუტესთან შეხვედრისთვის შეარჩია.

ჯასტინ ტრუდოს წინდები პირველად იპყრობს პრესის ყურადღებას. მიმდინარე წლის მაისში კანადის პრემიერ-მინისტრმა სხვადასხვა ფერის წინდები შეარჩია, რომელზეც ასევე ფილმ „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟები იყო გამოსახული.

სპორტი

## ნატალია ოთხმეზური ჩეხურ ჰრადეცში გადავიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ეროვნულ ჩემპიონატებში. ოთხმეზურმა 2016 წელს ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში ჩვენი ქვეყნის ღირსება 16 და 18-წლამდელთა ნაკრებებში დაიცვა და გუნდის გამორჩეული ლიდერი იყო.

წლეულს კი ნატალიამ საქართველოს ნაკრებს ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონში ულიდერა, ტურნირის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო იყო და სიმბოლურ ხუთეულშიც შეიყვანეს.

პირველად ნატალია ოთხმეზური კლუბ ბასტიონში გამოჩნდა, საიდანაც საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს. იგი გახლავთ ქალთა ლიგის ბოლო 2 წლის ჩემპიონი და ყველა იმ ასაკობრივი ჩემპიონატის გამარჯვებული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო.

2016 წელს ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატის ც დივიზიონში ოთხმეზურის ლიდერობით საქართველოს ნაკრები ჩემპიონი გახდა, ხოლო ნატალია ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ამავე წელს ოთხმეზურმა საქართველოს ღირსება დაიცვა 18-წლამდელთა ც დივიზიონში, რომლის საუკეთესო კალათბურთელიც გახდა, ხოლო საბოლოოდ ნაკრები ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

პერსპექტიულმა ქართველმა გოგონამ უცხოელი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და ყველაფერი ოთხმეზურის ჩეხურ გუნდში გადასვლით დასრულდა. ნატალიამ უკვე მიიღო ჩეხეთის სამუშაო ვიზა და ევროპაში გაემგზავრა. ჩეხეთში წასვლამდე ოთხმეზურმა ჰრადეც კრალოვესთან კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 1 წლით გარანტირებულია და დამატებით 1 წლით გახანგრძლივების პერსპექტივასაც გულისხმობს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ასტროპროგნოზი

### 26 სექტემბერი



**ვერძი** – გეგმების რეალიზებას წარმატებით ახერხებთ. დღე აღსავსეა სასიამოვნო მოულოდნელი შეხვედრებითა და სიურპრიზებით. **კურო** – შესაძლოა ახალი და საინტერესო საქმე წამოიწყოთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელ პირებთან. **ტყუპები** – სამუშაო დიდ ენერგიას გართმევთ, თუმცა წარმატებას მხოლოდ შეუპოვრობა და მიზანდასახულობა მოგიტანთ. **კირჩხიბი** – ფუჭი ოცნებები და უმიზნო შეხვედრები არას გარგებთ. დროს ტყუილად დაკარგავთ. **ლომი** – ჰარმონიული დღეა. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში ჰპოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – პარტნიორული ურთიერთობები აქტიურდება. იმოქმედეთ პრაგმატულად და ცივი გონებით.**სასწორი** – იფრთხილეთ. მიამიტობა და წინდაუხედაობა დაუშვებელია. დაზარალდებით. **ღრიანკალი** – ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი დღეა. მთავარია, პარტნიორი სწორად შეარჩიოთ და პრიორიტეტები განსაზღვროთ. **მშვილდოსანი** – სწორხაზოვანი მსჯელობა და სიჯიუტე ახლობელთან ურთიერთობას დაგიძაბავთ. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. **თხის რქა** – ნებისმიერ შემთხვევაში მოთმინება გმართებთ. ნუ აჩქარდებით. გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ მიიღოთ. **მერწყული** – თავს ნურავის მოატყუებინებთ და ნურც გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – მოსალოდნელია მსხვილი და სასარგებლო შენაძენი. საიმედო პარტნიორებთან ურთიერთობა ნაყოფიერი იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამრეწველო რაიონი უკრაინაში; 2. ფიფა-ს პრეზიდენტი; 3. ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. ბოსტნეული მცენარე; 5. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 9. სუფრის ხელმძღვანელი; 11. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 12. ტერიტორიული ერთეული ნორვეგიაში; 14. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 18. მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლი; 19. კანიონი ხონის რაიონში.

**თარაზულად:** 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 5. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 6. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 7. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 8. მდგომარეობა ჭადრაკში; 10. ნავსადგური ყირიმში; 13. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. აშშ-ს პრეზიდენტი; 16. შტატი აშშ-ში; 17. საცხენოსნო შეჯიბრება; 20. კოლუმბიის ნაკრებისა და საფრანგეთის „მონაკოს“ ფეხბურთელი; 21. სამშენებლო, მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 23. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. კარაკასი; 6. კამერტონი; 9. პანელი; 10. სეანსი; 11. ნარდი; 13. პატრი; 15. პალაცო; 18. კიქსი; 21. პერსონალი; 22. ოტომანი; 23. კიუმელი.

**შვეულად:** 1. მაკიაჟი; 2. ვირუსი; 3. ემულსინი; 4. პინგვინი; 7. მიკროფონი; 8. კრამბოლი; 12. თანატოსი; 14. ნაპოლეონ; 16. მინდორი; 17. ნეფრიტი; 19. სარი; 20. ამია.

### სკანვორდის პასუხები:

1. იო; 2. კლოდ; 3. კრამიტი; 4. რკო; 5. თოკი; 6. აიდა; 7. ია; 8. მის; 9. რიყე; 10. ცვილი; 11. ასლი; 12. თამადა; 13. ლა; 14. ექო; 15. კელნი; 16. სე; 17. ივრითი; 18. ფარვანა; 19. მა; 20. სინდისი; 21. სადაფი; 22. დღე; 23. აპოსტერიორი; 24. კადენცია; 25. პარდონ; 26. მოპრა; 27. კაცი; 28. კარმა; 29. ანონა; 30. კამა; 31. ასპარეზი; 32. რო; 33. აბზაცი; 34. ქალამანი.

**სურათებზე:** სკარლეტ იოჰანსონი; ჩარლი ადამი

# მერაბ ნინიძე საუკეთესო მსახიობად დაასახელეს

ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე საუკეთესო მსახიობად დაასახელეს. ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ბათუმის რიგით მე-12 საერთაშორისო საავტორო კინოფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია გაიმართა. საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები სამ საკონკურსო სექციაში გასცა, საერთაშორისო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

კინოფესტივალის მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციან ჟიურის მოჰსენ მახმალბაფი ხელმძღვანელობდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ სიდიქ ბარმაკი, ბორის შულმან, დიანა აშიმოვა და ნუცა ალექსი-მესხიშვილი.

ჟიურიმ გრანპრი გადასცა რეჟისორ სერგეი ლოზნიცას ფილმს „ნაზი არსება“, საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა იეშიმ უსტაოღლუ ფილმისთვის „შუქ-ჩრდილი“, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი გახდა მერაბ ნინიძე კორნელ მუნდრუცოს ფილმში „იუპიტერის მთვარე“ შესრულებული როლისთვის, საუკეთესო მსახიობ ქალად კი ეჩემ უზუნი დასახელდა ფილმში „შუქ-ჩრდილი“. ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღეს მარიამ ხაჭვანის ფილმმა „დედე“ და ფილმის „წვეულება“ სამსახიობო ანსამბლმა.

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ ალექსანდრე რეხვიაშვილის, შონ მაკალისტერის, მეჰმეთ ალი არსლანის, ვიქტორ კუფალისა და სეიფოლა სამადიანის შემადგენლობით საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის დააჯილდოვა რეჟისორი ზიად ქალთოუმ ფილმისთვის „ცემენტის გემო“. ჟიურის სპეციალური პრიზი კი მიიღეს რატი ონელის ფილმმა „მზის ქალაქი“ და უგის ოლტესა და მორტენ ტრაავიკის ფილმმა „თავისუფლების დღე“.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის ჟიურიმ საფარ ჰაქდადოვის, ჰანა მახმალბაფისა და ნინელი ჭანკვეტაძის შემადგენლობით, პრიზები ორ ძირითად ნომინაციაში გასცა: საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი გახდა ქიუ იანგის „ნაზი ღამე“. ჟიურის დიპლომი, სპეციალური მოხსენიება კი გადაეცა სამ ფილმს მარგო ზუბაშვილის ფილმს „ანა, სოსო ბლიაძის ფილმს „სამი საფეხური“ და კარლო სირონის ფილმს „ვალპარაიზო“.



კინოფესტივალის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ ირანელ რეჟისორს მოჰსენ მახმალბაფს, ქართველ კომპოზიტორს გია ყანჩელს და ქართველ მსახიობს ვახტანგ კიკაბიძეს.

## თეონა დვალმა იტალიის შემდეგ ქორწილი საქართველოშიც გადაიხადა



ოპერის მომღერალმა, სოპრანო თეონა დვალმა იტალიის შემდეგ ქორწილი საქართველოშიც გადაიხადა და მცხეთაში რესტორან „გუჯარში“ ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეები შეკრიბა.

მუსიკოსები, მომღერლები, ტელეწამყვანები, პიანისტები, მსახიობები, მოცეკვავეები, დირიჟორები – თეონას ბედნიერების გასაზიარებლად მცხეთაში ჩავიდნენ.;

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა მომღერალმა ჯაბა ქარსელაძემ ქორწილიდან რამდენიმე პირდაპირი ჩართვა განახორციელა და დაინტერესებულ საზოგადოებას თეონას და მისი იტალიელი მეუღლის, ბიზნესმენ ჯაკომო რაკუნიოს ბედნიერება გაუზიარა.

ჯაკომომ და თეონამ ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ გაიცნო. მათი ურთიერთობა ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. იტალიური ქორწილი თეონას დედამთილმა მოაწყო, სადაც 150 კაციანი დღესასწაული უმაღლეს დონეზე ჩატარდა. პატარძალი საკურთხეველთან მამამ მიაცილა.

მცხეთაში გამართულ ქორწილში იტალიელმა სიძემ ქართულად იმღერა, მან „თბილისო“ შეასრულა. თეონამ კი ლაზურა თეა დარჩიასთან ერთად იცეკვა. მეფე-პატარძლისთვის იმღერეს ქორწილში მიწვეულმა ქართველმა მომღერლებმა და მათ უსაზღვრო ბედნიერება უსურვეს.

მცხეთაში გამართული ქართულ-იტალიური ქორწილი ულამაზესი ფეიერვერკებით და გრანდიოზული ტორტის გაჭრით დასრულდა.

## ბიბი კვაჭაძე თბილისში მეტ სიმწვანეს ითხოვს



მუსიკოსი ბიბი კვაჭაძე თბილისში, სადაც გამალებული მშენებლობებია და სიმწვანე თითქმის აღარსად დარჩა, მიტოვებული ადგილების გამწვანებას ითხოვს და მთავრობას მიმართავს:

– მთავრობავ, თუ თბილისი გიყვარს, ყველაზე კეთილი და საშვილიშვილო საქმე იქნება თუ, მაგალითად, იპოდრომს, ლაგუნა ვერეს, ან მსგავს მიტოვებულ ობიექტებს მოჰკიდებთ ხელს და გაასუფთავებთ, გაამწვანებთ ხეებით, ბუჩქებით, ბალახით, გაალამაზებთ დეკორატიული ელემენტებით, მოვლილ პარკებად და სკვერებად აქცევთ და დაცულ ტერიტორიად გამოაცხადებთ, მშენებლობის აკრძალვას ვგულისხმობ.

ამით ხელს შეუწყობთ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს, მათ ოჯახებს და ზოგადად ჩვენ მომავალ თაობას ჯანმრთელი ცხოვრებით იცხოვრონ.

ამერიკას რომ შევციცინებთ თვალებში, კარგი ვისწავლოთ და გადმოვიღოთ, ნიუ-იორკის „ცენტრალ პარკის“ მაგალითი გავითვალისწინოთ, ეს იქნება ქალაქის ჟანგბადის უწყვეტი წყარო, მთავარი ფილტრი, რომელიც მინიმალური დანახარჯით გამუდმებით იმუშავებს ადამიანების საკეთილდღეოდ.

## დათო ევგენიძე ანჩისხატის ეკლესიის ეზოში მიმდინარე მშენებლობას აპროტესტებს



მუსიკოსი დათო ევგენიძე ანჩისხატის ეკლესიაში მიმდინარე მშენებლობას აპროტესტებს და საზოგადოებას ქმედითი ღონისძიებებისკენ სოციალურ ქსელში მოუწოდებს:

– ჩვენ თუ გავაგრძელეთ მხოლოდ ფეისბუქში აღშფოთება, ბოლოს ყველგან, ნასაყდრალებზე, პატარა ბუკლეტები დაგვხვდება ფოტოთი, მაგალითად, აქ იყო ჯვარი, აქ სვეტიცხოველი, ალავერდი, გელათი და ა.შ.

მე მგონი, ყველა ზღვარს გადააჭარბეს, რისი ატანაც მე პირადად აღარ შემიძლია!

## გოდერძი ნარიმანაშვილი: „მცხეთაში ისტორიულ ძეგლს ბულდოზერებით ანგრევენ“



არქეოლოგი გოდერძი ნარიმანაშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ მცხეთაში ისტორიულ ძეგლს ბულდოზერებით ანგრევენ. არქეოლოგი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მოუწოდებს, ძეგლი გადაარჩინოს:

– ეს ორი ფოტო ძველი მცხეთის ჩრდილოეთი კარიბჭის ადგილასაა გადაღებული. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ამ ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა სასიმაგრო კომპლექსი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნეშია აგებული და ახალი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნემდე იარსება.

სიმაგრე მდინარე არაგვის ორივე ნაპირზე ყოფილა გაშენებული. მისი კედლები აღმოსავლეთით ზედაზნის მთის წვერამდე ადიოდა, დასავლეთით კი შიომღვიმის ქედზე ადიოდა. სიმაგრის გალავნის კედლების სისქე 3,5-4,0 მეტრს აღწევს. კედლების შემორჩენილი სიმაღლე ალაგ-ალაგ 3-4 მეტრს უდრის.

მაშინ ოთხი კოშკი გაითხარა, რომლებიც ოთხსართულიანი ყოფილა. სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე ტაძარი, სასახლის ნაშთები, მარნები, წისქვილი და სამარხები გაითხარა. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი ხის კონსტრუქციებით იყო გადახურული გათხრების შემდეგ და ეფექტური სანახავიც იყო.

ჟამთა სვლამ ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ საქართველოს ისტორიის ეს უნიკალური ძეგლი დღესაც ადგილზეა. თუმცა დროებით. მას ბულდოზერები მიაყენეს და ანგრევენ.

მე არ ვიცი, ვინ და რა მიზნით შეიჭრა ისტორიაში, მაგრამ ძეგლს დაცვა სჭირდება: ძეგლს, რომელსაც რომის იმპერიის ძლევამოსილი სარდალი პომპეუს დიდი ახსოვს; ძეგლს, რომლის კედლებთანაც მეფე ამაზასპმა ქართლში შემოჭრილი ოსები სასტიკად დაამარცხა; ძეგლს, რომელიც ბევრ საიდუმლოს ინახავს.

მას დღეს ჩვენი დახმარება სჭირდება. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მივმართავ! გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ ზომები ძეგლის გადასარჩენად.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები



### ბექა!

დღეს შენი დაბადების დღეა, ჩემო ვაჟკაცო! 44 წლის გახდი. გილოცავ!..

უკვე მერამდენედ ხვდები ამ თარიღს მარადიულ სასუფეველში, ჩემო ერთადერთო! მენატრები ძალიან. ყველგან შენ დაგეძებ – მხიარულს, ღიმილიანს, სიცოცხლით სავსეს, მაგრამ ამაოდ... უიმედოა ჩემი სიცოცხლე.

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო მწარედ მოსაგონარო, ტკივილმოუშუშებელო, ნებიერო ბიჭო!

**დედა**



აფხაზეთის ნაღები ინტელიგენცია, საქართველოს საინჟინრო საზოგადოება, ძირძველი სამურზაყანოს კოლორიტთა არმია, ნათესავთა დიდი წრე, მეგობრები და მეზობლები უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან ენგურჰესის მშენებლობის ვეტერანის, საბჭოთა კავშირის ენციკლოპედიაში მშენებელთა ოქროს ფონდში შესული პიროვნების, მის მიერ შესრულებული ურთულესი ნახაზების „გეპეის“ შენობაში 30-წლიანი გამოფენის ავტორის, კაცობისა და ადამიანობის დიდი ქომაგის, კოლხური სტუმართმასპინძლობის დიდი ოსტატისა და საოცრად თავმდაბალი, ჩვეულებრივი მოკვდავის, ბატონი

### გენო (გენადი) ჯუმბერის ძე ჯობავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის დიდ ოჯახს.

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული!

ემირ ვარდანია, ჯუმბერ მატუა, გოგი მესხია, თემურ შენგელია, რაჟდენ ქარდავა, ზაურ კვატანია

თამარ ვეფხვაძე-დგებუაძე შვილებითა და შვილიშვილებით მწუხარებით იუწყება ოჯახის დიდი მეგობრის

### გენო ჯუმბერის ძე ჯობავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.



პირველი გალის საშუალო სკოლის ვეტერანი პედაგოგები, თანაკლასელები, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები დიდი მწუხარებით იუწყებიან ადრეულ ასაკში მშობლების მზრუნველობასა და სითბოს მოკლებული ახალგაზრდის, აფხაზეთის ტრაგედიით გამრუდებული ცხოვრების ლაბირინთებში საკუთარი ოჯახის გარეშე დარჩენილი მარტოსულის, ყველას შემწე, დამხმარე და კარგის მსურველის, საოცარი ჯანსაღი იუმორის მქონისა და ავტორის, ბატონი

### მერაბ (ელგუჯა) აპოლონის ძე ბიბლაიას

ტრაგიკულად დაღუპვას და სამძიმარს უცხადებენ მის და-ძმას – ციცინოსა და მურმანის ოჯახებს.

მისმა სათუთმა გულმა მონატრებული მშობლებისა და საყვარელი ძმის – ომეხის გარეშე ვერ გაძლო და მარადისობაში ეახლა მათ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უწმინდესი სული!

პედაგოგები: ნარგიზა კვეკვესქირი, გივი ჩეხერია, რაჟდენ ქარდავა

**თანაკლასელები: გია ეზუგბაია, თენგიზ ჩეხერია, ოთარ ბიბლაია, ბორია ბიბლაია**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

### სამშაბათი 26 სექტემბერი

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"წინ" წარმატებისკენ"** **10.00, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.30** "არჩევნები" **14.00, 04.00** დღის მხ/ფ **"სამეფო ქორწილი"** **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი"** **18.30, 05.15** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **20.30** ევროპის **2018** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეიოფის განმეორებითი შეხვედრა ფუტსალში. **საქართველო-რუმინეთი**. (პირდაპირი ახალი ოლიმპიური სასახლიდან.) **22.00** წინასამატჩო გადაცემა **22.40** ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი. **00.40** მატჩის შემდგომი გადაცემა **01.10** მხ/ფ **"40 წლის უბიწო ბერბიჭა"** (ს.კარელი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.**

**06.30, 16.00** სერ. **"ტყუილი"** 5-6 სერ. **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. **"ელიფი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"ხაფანგი"** **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ძმა"** **22.00** პოლიტიკური თოქ შოუ – ამომრჩევლის პირისპირ (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"რეიდი"** **01.10** მხ/ფ **"ციდან სამ მეტრზე 2"** **03.25** მხ/ფ **"ინგლისურის მასწავლებელი"** **04.50** მხ/ფ **"ციდან სამ მეტრზე"**

**06.00, 18.50** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **07.00, 20.03** სერ. **"დედამთილი"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი"** **16.55** სერ. **"უსასრულო მოლოდინი"** **22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00, 19.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-2"** **11.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები-2"** **13.00** სერ. **"ძვლები 7"** **17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება: საძღვარგარეთ"** **21.00** სერ. **"სპირალი 3"** **1** სერ. **22.30** მხ/ფ **"ცხოვრება პიკასოსთან"** **01.00** მხ/ფ **"ექვსი დღე შვიდი ღამე"** **02.50** მხ/ფ **"ტოსკანის მზის ქვეშ"** **04.50** მხ/ფ **"ერთხელ რომში"** **06.15** მხ/ფ **"გოგონები კალენდრის გარე კანიდან"**

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. **"ბანდოლერა"** **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 21.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** **22.00** სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** **23.00** ჰელლო თბილისი **00.00** სერ. **"შავი სია"** **3.40** ცენზურის გარეშე

**06.10** სპექტაკლი **"კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** დ/ფ "საქართველოს ისტორია-საქართველო და მსოფლიო **1906** წელი" **10.35** პატერიკი-სიხარბის მხილება უფლისგან **10.40** სჯანი "ბუდიზმი" **11.25** ღვთის სახლი "დოლისყანა" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"** **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" **2** **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა და ნიღბები" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-კამპანი" **15.45** კონცერტი **16.40** ქრისტიანული ხელოვნება "ქვაშვეთის ტაძრის მოხატულობა" **17.25** ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი" **18.10** მოკ. მხ/ფ **"თედო"** **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** წმინდანები "წმინდა დიდმოწამე ქეთევანი" **19.45** ჩვენი ფონდი "კვიპროსის ქართული მონასტრის არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ" **20.00** ღია აუდიტორია "თამაზ ტყემალაძე" **20.40** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** გაცოცხლებური წარსული "წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახ. ტაძრის გუნდი" **22.25** ჩვენი ფონდი "დიმიტრი შევარდნაძის საეკ. ხელოვნება" II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "პალიასტომის ღვთისმშობელი" **23.40** ღვთის სახლი "ხანცთა-მონასტრის ადგილმდებარეობა" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები "მეუფე ანანია-პირველად იყო სიტყვა" **01.30** მხ/ფ **"პალიასტომი"**

მაესტრო **10.00- 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 02.30** ბიზნესი **1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 02.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.50 - 02.50** სპორტი**1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **11.00 - 23.00** ახალი ამბები - მთავარი თემა **2** (განმეორება ყოველ ორ საათში) **22.15, 00.15, 01.15, 02.15, 03.15,** უცხოეთის ამბები **17.30** ბიზნესი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.4804

ევრო — 2.9708

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3617

100 რუსული რუბლი — 4.3075

## ამინდის პროგნოზი 26 სექტემბრისთვის




## 14 სექტემბრიდან




### ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი, ტომი 1




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 სექტემბრიდან




### გიგო გაბაშვილი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 22 სექტემბრიდან




ალექსანდრე იასალაშვილი

### შავი ვარდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 28 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

### ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია




**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**

## ნატალია ოთხმეზური ჩეხურ ჰრადეცში გადავიდა



საინტერესო, სასიამოვნო და, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ინფორმაცია ქართული კალათბურთის მოყვარულთათვის.

17 წლის ნატალია ოთხმეზური ჩეხეთის უმაღლესი ლიგის კლუბ ჰრადეც კრალოვე სოკოლში გადავიდა. ქართველი გოგონა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ქალთა საკალათბურთო ლიგაში ითამაშებს და იმ გუნდის ღირსებას დაიცავს, რომელიც ჩეხეთის ვერცხლის პრიზიორია.

ოთხმეზურმა დიდი გამოცდილება მიიღო როგორც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში, ასევე გოგონათა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორი



ბიჭი გოგოს ტელეფონზე ელაპარაკება:

– იქნებ ერთ საათში შევხვდეთ ერთმანეთს?

– დღეს თავს რაღაც კარგად ვერ ვგრძნობ.

– მაშინ მოდი აფთიაქში შევხვდეთ ერთმანეთს!

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– აქ რას აკეთებ?

– პრინცს ველოდები.

– ღამის 12 საათზე, სადარბაზოსთან და თანაც ჯოხით ხელში?

– სწორედაც...

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, გამარჯობათ, თქვენი შვილის, ალეკოს მასწავლებელი გელაპარაკებათ.

– ახ... ჰო... გამარჯობათ.

– მინდა თქვენ შვილზე გესაუბროთ, ალეკო გაკვეთილზე ძალიან დაბნეულია, ვერაფერს იმახსოვრებს.

– ახ... ჰო... მომიტევეთ, ვის ვესაუბრები?

●●●

ლოთი სასაფლაოზე დათვრა, ახალ გათხრილ საფლავში ჩაწვა და დაიძინა. ღამით გაეღვიძა, გაახსენდა, სადაც იყო. ამ დროს ხედავს, რომ იქ, შორიახლოს, მესაფლავე საფლავს თხრის. მისი შეშინება გადაწყვიტა. სადღაც თეთრ ზეწარს მიაგნო, მოიხურა, მესაფლავეს მიეპარა და საშინელი ხმით დაიყვირა:

– უუუუუუუუ.

მესაფლავე ყურადღებას არ აქცევს და თავის საქმეს აგრძელებს. ლოთი არ ეშვება, ახლა მეორე მხრიდან მიადგა და კიდევ უფრო საშინელი ხმით დაიღრიალა:

– უუუ-უუუ-უუუ-უუუ-უუ.

მესაფლავემ ერთი შეავლო თვალი და კვლავ საფლავის თხრა განაგრძო. ლოთმა იფიქრა, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო და სასაფლაოს გასასვლელისკენ ისე გაემართა, რომ ზეწარი არც კი მოუშორებია. ჭიშკართან მისულს, უცბად მესაფლავე წამოეწია, ნიჩაბი თავში ჩასცხო და ეუბნება:

– სეირნობით, რამდენიც გინდა ისეირნე, მაგრამ სასაფლაოს ტერიტორიას არ გასცდე!...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რომელი უფრო მეტად გიყვარს – ღვინო, თუ ქალები?

– გამოშვების წელს გააჩნია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. ბეღურასნაირთა ოჯახის ფრინველი; 4. ქალაქი პაკისტანში; 6. ქართველ მწერალ არსენა მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 11. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. მე-12 საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 21. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე.

**თარაზულად:** 5. მზის სისტემის პლანეტა; 7. მდინარე კახეთში; 8. კროსვორდის გამომგონებელი; 10. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი; 12. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ხევსურეთში; 13. პორტატული მფრინავი აპარატი; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ისტორიული ქალაქი სირიაში; 20. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი, თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 24. მკბენარა მწერი; 25. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 26. წვრილმარცვლოვანი, მაღალხარისხოვანი ყავის ჯიში; 27. უვიცი, უცოდინარი ადამიანი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



## 13 სექტემბრიდან

### ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

### ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.




**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## ქართველი მოდელი მილანის მოდის კვირეულზე გამოვიდა



მილანის მოდის კვირეულზე ქართველი მოდელი თეკლა ჩიჯავაძე გამოვიდა. ის ფართო საზოგადოებამ სტეფანეს ახალი კლიპიდან „დამიბრუნდი“ გაიცნო.

სამოდელო სააგენტო ლუქ მოდელს მენეჯმენტის მოდელმა მილანის მოდის კვირეულში დიზაინერ ვივეტას კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა.

ინფორმაცია და ფოტოები თეკლას სამოდელო სააგენტომ ლუქ მოდელს მენეჯმენტმა გაავრცელა:

– ჩვენმა კიდევ ერთმა მოდელმა, უმაგრესმა გოგომ, ყველაზე პოზიტიურმა და ულამაზესმა თეკლა ჩიჯავაძემ მილანის მოდის კვირეულზე დიზაინერ ვივეტას კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## რუბენსის 400 წლის წინ დაკარგული ნახატი იპოვეს



შოტლანდიის პოლოკის სახლ-მუზეუმში ფლამანდიელი მხატვრის პიტერ პაულ რუბენსის ნახატი აღმოაჩინეს, რომელიც 400 წლის მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა.

სურათზე გამოსახულია ჯორჯ ვილიერსი, ბეკინჰემის პირველი ჰერცოგი. აღსანიშნავია, რომ ის ინგლისის მეფე იაკობ I-ის ფავორიტი იყო. მონარქის სიბერეში კი ვილიერსი ინგლისის ხელისუფლების დე-ფაქტო მეთაური გახდა და მეფესთან ურთიერთობას მის გარდაცვალებამდე აგრძელებდა. ჰერცოგი 1628 წელს ყოფილმა სამხედრომ, პურიტანელმა ჯონ ფელტონმა რელიგიური მოსაზრებით მოკლა.

ვილიერსის პორტრეტი, რომელიც პოლოკის მუზეუმში იმყოფებოდა, დიდი ხნის მანძილზე 400 წლის წინ დაკარგული რუბენსის ნამუშევრის ასლად ითვლებოდა. პირველმა მისი ნამდვილობის თაობაზე ბრიტანელმა ხელოვნებათმცოდნემ ბენდორ გროსვენორმა განაცხადა. სურათის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჭუჭყისა და მოგვიანებით დატანილი საღებავის ფენების ქვეშ, ფლამანდიელი მხატვრის ფუნჯის შემოქმედება იმალებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**